საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხელ-თის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 2 მარტი. 2016 წ. №40 (7932), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

დავით მხეიძე: ეროტიკული გასროლა პოლიტიკური სამიზნისკენ... 3

ჯაბრაილ ბაბაჩიევი: სამხრეთ ოსეთი სახელმწიფო კი არა, ერთი პატარა მიწა-წყალია, თანაც არა ყირიმი, რომ კრემლს მიერთება უღირდეს 5

ჯემალ შელია: როცა სამართალიც სიცრუეზე იგება... 4

ირაკლი მენაღარიშვილი: ამერიკულ მხარესთან შეთანხმებით, რუსეთი თავისი ინტერესების განხორციელებას ცდილობს 8

ქართული ქვევრი გაეროს ეზოში

ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში ქართული ქვევრის განთავსების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეყვანილი ქვევრი, საქართველოს მთავრობამ გაეროს ორგანიზაციის დაარსების 70 წლისთავთან დაკავშირებით უსახსოვრა.

ჟენევაში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ და გაეროს გენერალურმა დირექტორმა მიხაელ მიოლერმა. ღონისძიებას ესწრებოდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩუსი.

მოხარული ვარ, რომ საქართველოს კულტურული იდენტობის და უძველესი ტრადიციის ამ ელემენტმა გაეროში დაიდო ბინა, როგორც საქართველოს ხელისუფლების საჩუქარმა. საქართველო ღვინის აკვანია, ქვევრით ღვინის დაყენებას კი ჩვენს ქვეყანაში 8000 წლის ტრადიცია აქვს — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა მემორიალური დაფა, რომელიც ქვევრთან განთავსდა და დამთვალიერებელს ინფორმაციას აწვდის ძეგლის წარმოშობის შესახებ.

ღონისძიების ფარგლებში სტუმრებისთვის გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია. ასევე მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმის „ღვინის გზის“ ჩვენება. დამთვალიერებელს ქვევრის ისტორიისა და საქართველოში ღვინის წარმოების შესახებ სამახსოვრო ბროშურები გადასცეს.

„უმასპინძლე საქართველოში“

„უმასპინძლე საქართველოში“— რეგიონებში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიზნით, სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტი დაემატა.

პროგრამის ფარგლებში, დაინტერესებულ მეწარმეს შეუძლია სახელმწიფოს თანადაფინანსებით, თბილისისა და ბათუმის გარდა, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ააშენოს ახალი სასტუმრო, მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოვება/გადაიარაღება, გააფორმოს „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე. სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ პროგრამა „უმასპინძლე საქართველოში“ დაეხმარება რეგიონებში მოღვაწე მეწარმეებს, წამოიწყონ საკუთარი საქმე სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში, ააშენონ ახალი სასტუმროები, გააფართოონ და გადააიარაღონ არსებული ინფრასტრუქტურა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობა მუშაობს 4-სეზონიანი კურორტების განვითარების მიმართულებით, იქმნება ახალი ინფრასტრუქტურა, როგორც მთის კურორტებზე, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით, მუშავდება ახალი ტურისტული პროდუქტები.

ოჰ, ეს თანამედროვე პროვინციალიზმი! 7

ხელისუფლებაში მოკალათებული პროვინციალიზმი რომ გზას უკეტავს საღ აზრს, ფაქტია. პროვინციალიზმია ძველ თბილისში ფეხით მოსიარულეთა ხიდის გადება, ორი რკინის გაუგებარი ნაგებობის ჩათხრა, გმირთა მოედნის შუაგულში უგემოვნო მემორიალის აღმართვა, სასტუმრო „რედისონთან“ ველოსიპედის ქანდაკების დადგმა, დავით აღმაშენებლის ძეგლის განდევნა და ველოსიპედის „ძეგლის“ მოპირდაპირე მხარეს მინის უსახური შენობის აგება.

ზვიად კვაჭანტირაძე: გაარჩიეთ ალეკო ელისაშვილი! 2

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო:

მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირება ინსპირირებულია

სოფელ ადიგენში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მუსლიმთა სამმართველომ განცხადება გაავრცელა.

„საუკუნეების მანძილზე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანები მშვიდობიანად, მეგობრულად და ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლულად თანაცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ხელოვნურად ხდება მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების ინსპირირება. ვფიქრობთ, რომ ადიგენში მომხდარი ფაქტიც არის ხელოვნურად ინსპირირებული. როგორც ჩვენთვის ცნობილია, დაწყებულია გამოძიება და აქედან გამომდინარე, მივმართავთ სამართალდამცავ უწყებებს, რათა დროულად და ობიექტურად მოხდეს ფაქტის გამოძიება და დასჯილ იქნან დამნაშავეები. მოვუწოდებთ მოსახლეობას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და დაელოდონ გამოძიების დასრულებას“, — აღნიშნულია სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს განცხადებაში.

ამავე განცხადებაში საუბარია იმაზე, რომ მუსლიმური რელიგიის მიხედვით მუსლიმი მიცვალებულის სხვა აღმსარებლობის სასაფლაოზე დაკრძალვა არ შეიძლება. სოფელ ადიგენში მცხოვრებ მუსლიმებს კი არ ჰქონდათ შესაბამისი ტერიტორია, სადაც შეძლებდნენ მიცვალებულის დასაფლავებას, მიცვალებული გადაჰყავდათ სხვა რაიონსა და სოფლებში.

ამიტომ მუსლიმთა სამმართველომ ადიგენის მუსლიმი მრევლის მოთხოვნის საფუძველზე არსებული სასაფლაოს გვერდით მიწის გამოყოფის თაობაზე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიმართა. რელიგიის სააგენტოსთან არსებული ქონებრივი და ფინანსური საკითხების კომისიამ კი გასცა რეკომენდაცია მუსლიმებისთვის სასაფლაოს ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე.

* * *

ადიგენში მომხდარი რელიგიური დაპირისპირების საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე დევნის მუხლის 1 ნაწილით მიმდინარეობს.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის, ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

როგორც გამოცემა „სამხრეთის კარიბჭე“ იუწყება, სოფელ ადიგენში მომხდარზე ერთ-ერთი დაზრალებული ავთანდილ იაკობიძე უკვე დაკითხეს. მისი დაკითხვა გვიან ღამით დილის 6 საათამდე მიმდინარეობდა.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ადიგენში დაპირისპირების მიზეზი მუსლიმი თემის მიერ სასაფლაოს ადგილის მოთხოვნა გახდა. ვითარების ესკალაცია რელიგიის სააგენტოს 25 თებერვლის რეკომენდაციამ გამოიწვია, რომლის მიხედვით, ადიგენის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მუსლიმთა სასაფლაოსთვის ადგილი უნდა გამოყოს.

გუშინ, სოფელ ადიგენში ადგილობრივი მუსლიმი და ქრისტიანი თემი ჯერ სიტყვიერად დაუპირისპირდა ერთმანეთს, შემდეგ კი ფიზიკურად. დაშავებულია სამი ადამიანი.

საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები ირღვევა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური 29 თებერვალს დაბა ადიგენში მომხდარ დაპირისპირებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის და არა უმცირესობის უფლებები ირღვევა.

როგორც მეჭიაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ადიგენის ინციდენტი არის ხელოვნურად წარმოქმნილი კონფლიქტი არარსებულ თემაზე.

ირღვევა უმრავლესობის ინტერესები, თუნდაც ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის განხრით. მართლმადიდებლობა იზღუდება იმიტომაც, რომ მთელი რიგი მცირერიცხოვანი მრევლის მქონე რელიგიების წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად აკრიტიკებენ მთავრობას, რასაც არასოდეს არ აკეთებს მართლმადიდებელი ეკლესია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რაღაც პოზიციებს არ ეთანხმება. ასე რომ გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობენ უმცირესობები, ჩემი აზრით, ვიდრე უმრავლესობა. ეს არის ხელოვნურად წარმოქმნილი კონფლიქტები არარსებულ თემებზე“, — განაცხადა მეჭიაურმა.

◎ აურზაური არაფრის გამო

ზვიად კვაჭანტირაძე: გააჩუმეთ ალეკო ელისაშვილი!

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არსებული დაპირისპირების დეტალებზე „ჯი-ეიჩ-ენი“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს ზვიად კვაჭანტირაძეს ესაუბრა:

— ბატონო ზვიად, შეგიძლიათ თუ არა, დაადასტუროთ, რომ გოგი თოფაძესა და თინა ხიდაშელს შორის პრობლემა მოგვარდა, იმის მიუხედავად, რომ „რესპუბლიკელები“ ასე არ ფიქრობენ? მათ გარდა, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდრემა პრემიერთან შეხვედრის შემდეგ ისევ განაცხადა, ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით გაკეთებული ინდივიდუალური განცხადებები გადაედო კოალიციას, რაც არასასურველი და არასწორი შეხედულებაა. გამორიცხავთ, რომ არსებული შემადგენლობით კოალიცია დაშლის წინაშე ოქტომბრამდე კიდევ დადგება?

— არასწორი შთაბეჭდილებაა, ეს გამორიცხულია. გოგი თოფაძის მოსაზრებები არათუ „ქართული ოცნების“, არამედ თავად „მრეწველების“ აზრიც არ არის. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ პრობლემა დასრულდა, ამ ეტაპზე მოვლენებს მშვიდობიანი განვითარება აქვს. ვფიქრობ, რომ შეცდომები ორივე მხრიდან იქნა დაშვებული და ამან გამოიწვია მწვავე განცხადებები გაუგებრობაში ჩართული პირების მხრიდან. მე პარალელურად წარმოვადგენ პარლამენტის ყველაზე დიდ ფრაქციას „ქართულ ოცნებას“ და ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, რომ ვიდრე ჩვენი ფრაქციის და პარტიის ინტერესები იქნება ისეთი, რომ გვჭირდება კოალიციური ერთობა, მეც ბოლომდე ვიდგები იქ და ყველა ჩემი განცხადება თუ ქმედება, იქნება მიმართული კოალიციის ერთობისა და განმტკიცებისკენ.

— აღნიშნული პროცესების პარალელურად საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და წინა პლანზე წამოვიდა „რესპუბლიკელების“ თავდაცვის მინისტრის შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხიც. ხომ არ არის საფიქრებელი, რომ „რესპუბლიკელებზე“ ზეწოლა ვილაცის ინტერესებში შედის?

— შეფასებას ნამდვილად ვერ გავაკეთებ, რადგან ვამბობ, რომ ჩვენ ვენდობით არჩევნების შედეგებს. თუკი საზოგადოებაში ვინმეს გააჩნია კითხვის ნიშნები არჩევნების შედეგებთან დაკაშირებით, მათ აქვს სუბიექტური უფლება, ამ საკითხზე იმსჯელონ და დამატებითი პასუხები მოითხოვონ.

— ალეკო ელისაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას ურჩევს, ეკა ბესელია გააჩუმონ, რადგან მისი განცხადებები ისევ და ისევ უმრავლესობას აზიანებს. ბესელია კი ელისაშვილის წინააღმდეგ აკეთებს განცხადებებს. სადამდე შეიძლება ასეთ რეჟიმში მიმდინარე საჯარო პოლემიკის ატანა, ან რა შთაბეჭდილებას ტოვებს საპარლამენტო უმრავლესობის ისეთი წარმომადგენელი, როგორც ეკა ბესელიაა?

— მოვუწოდებ იმ ხალხს, ვისაც სცენაზე გამოჰყავს ალეკო, გააჩუმონ ელისაშვილი, რადგან საკმარისად მოვისმინეთ მისი აზრები და ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ ვერანაირი დადასტურება იმ ბრალდებებისა, რომლებსაც ის უყენებს ჩვენი ფრაქციის და პარტიის წარმომადგენლებს. ჩემთვის ნაკლებად საინტერესო თემაა, მაქვს გარკვეული მოსაზრებები, მაგრამ საერთოდ ვერიდები ზედმეტ ჭორებს და საუბარს, რადგან მიგვაჩნია, რომ ზოგიერთების მხრიდან, ეს ნაადრევად დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიის ბინძური ნაწილია. არსებობს სათანადო ორგანოები, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა წამოყენებულ ბრალდებებზე რეაგირება. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ასეთი რეაგირებები იქნება და საბოლოოდ დადგინდება სიმართლე. მით უმეტეს, არის მცდელობები, რომ ბოლო დროს გაჟღერებულ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელიც მანანა კობახიძის წინააღმდეგ არის მიმართული, აბსოლუტურად ხელოვნურად იქნა მიბმული ეკა ბესელიას სახელი. ეს არის დადასტურებელი ფაქტი, რომ თავიდან ეკა ბესელიას სახელი არსად არ იყო ხსენებული, პრესამ ააგორა და მიაწება ბოლო ინფორმაციებს და ბრალდებებს, რომელიც ბოლო დროს იქნა გაჟღერებული. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან ბინძური პოლიტიკა, მაგრამ ყველაფერს მოეფინება ნათელი და საზოგადოება კარგად დაინახავს, ვინ ვინ არის.

ესაუბრა
ხათუნა ხატიაშვილი

ბუნებრივი აირი შაჰ-დენიზიდან

აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობების წამოღებასთან დაკავშირებით ძირითადი შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია, — ამის შესახებ ბაქოდან დაბრუნებულმა ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე პრემიერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„მქონდა შეხვედრა პრეზიდენტ ალიევთან, სადაც ვისაუბრეთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე. ასევე, საუბარი იყო იმ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტზე, როგორიცაა შაჰ-დენიზის პროექტი, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს. ასევე, მქონდა შეხვედრა „სოკარის“ პრეზიდენტთან, სადაც ვისაუბრეთ ჩვენს სამომავლო თანამშრომლობებზე, დამატებითი მოცულობების წამოღებაზე, რაც ნამდვილად დიდ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენი შიდა მოხმარებისთვის. ფაქტობრივად, ძირითად შეთანხმებაზე მივედით და ამის შესაძლებლობა იქნება, რომ შაჰ-დენიზის მილსადენიდან წამოვიღოთ დამატებითი მოცულობები“, — განაცხადა კალაძემ, რომელმაც „გაზპრომთან“ დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი.

„ამასთან დაკავშირებითაც ჩვენ, ალბათ, რამდენიმე დღეში დავასრულებთ მოლაპარაკებებს და მივიღებთ იმ შედეგს, რაც სჭირდება ჩვენს დარგს და ჩვენს ქვეყანას“, — განაცხადა კალაძემ.

* * *

აზერბაიჯანი უზრუნველყოფს საქართველოში წელიწადში დამატებით 500 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიწოდებას.

შესაბამისი განცხადება აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო ტრენდთან საუბარში სოკარის პრეზიდენტმა როვგან აბდულაევმა გააკეთა.

„აქამდე შაჰ-დენიზიდან საქართველოს ვაწვდიდით წლიურად 800 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, ახლა კი, ჩვენ შევძელით ამ ხაზით მიწოდების მოცულობის გაზრდა 1,5 მილიარდ კუბურ მეტრამდე და ასევე, 1,5 მილიარდ კუბურ მეტრამდე მოცულობის გაზრდას გაზსადენით, რომელიც ორ ქვეყანას აზერბაიჯანის ყაზახის რაიონში აერთიანებს“, — განაცხადა აბდულაევმა.

მისი თქმით, არსებობს შესაძლებლობა დამატებით 500-700 მილიონი კუბური მეტრი გაზის მისაღებად.

„ქართული ოცნების“ მთავარი მოწინააღმდეგე არის თავად „ქართული ოცნება“

კოალიციაში არსებულ უთანხმოებასთან დაკავშირებით კითხვის საპასუხოდ გია ვოლსკიმ აღნიშნა, რომ „დაშვებულია ბევრი შეცდომა.“

„მთავარი მოწინააღმდეგე „ქართული ოცნებისა“ არის „ქართული ოცნება“ თავად. არის გარკვეული შეცდომები დაშვებული. არის გარკვეული არის ეკონომიკური რობლემები, რომლებიც ნებისმიერ პარტიას ან ძალას შეუძლია გამოიყენოს თავის მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად, ეს იმიტომ ხდება, რომ „ოცნება“ ღია, თავისუფალი და დემოკრატიული გაერთიანებაა.



ეროტიკული გასროლა პოლიტიკური სამიზნისკენ...

საუკუნის დანაშაული ხომ არ ვუწოდოთ ბუკა-ალექსი თუ პირიქით, ალექსი-ბუკა პეტრიაშვილზე თავდასხმას, მკვლელობის მცდელობას?!

მერე რა, რომ თავდამსხმელი იმდენად „შაშუბეშა“ – ელამი აღმოჩნდა, რომ თავში კი დაუმიზნა, მაგრამ ლავჯებში გაარტყა – ბუკა-ალექსი თუ ალექსი-ბუკას თანაპარტიელები დაწყებული გამოძიების მუხლის – სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების, მკველელობის მცდელობად გადაკვალიფიცირებას ითხოვენ, ეს ერთი და მეორე – თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ, ბათუმიდან პირდაპირი ჩართვისას „რუსთავი-2“-ის მიერ ზოგადად „აწეულ სატოპკე“ კითხვაზე – ხომ არ არის ეს თავდასხმა ვინმეს მიერ პოლიტიკური დაკვეთა? ბატონმა ალასანიამ ეს „ზოგადი ვინმე“ დააკონკრეტა, განაცხადა რა, რომ მას ჯერჯერობით არა აქვს საფუძველი, რომ შემკვეთად ბიძინა ივანიშვილი დაასახელოს.

ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატონი ირაკლი იმაში დარწმუნებულია, რომ ბუკა-ალექსი თუ ალექსი-ბუკაზე თავდასხმა დიდი პოლიტიკიდან მოდის, მაგრამ ჯერ იმის საბუთი არა აქვს, რომ ეს დიდი პოლიტიკა ბიძინა ივანიშვილია?!

ამაზეა ნათქვამი – ობოლო, ვის „მოუხნავ“ მინდორ-ველებსო და ჩემს გამზრდელსო – მეტი გეკუთვნის, ბატონო ბიძინა, მეტი...

თავისუფალი დემოკრატების ოდიოზური (ეს ის დედაკაცია, რომელიც ლგბტ-პედერასტების დროშას ამაყად აფრიალებს) ქალბატონი ნინო გოგუაძე პირდაპირ აცხადებს, რომ ბუკა-ალექსი თუ ალექსი-ბუკაზე თავდასხმა პოლიტიკური დაკვეთა იყო და გამოძიებისგან, პირველ რიგში, დამკვეთის გამოვლინებას ითხოვს?!

ზემორე თქმულიდან გამომდინარე მეც შევწუხდი, მივდექი, მოვდექი და სარწმუნო წყაროს ინფორმაცია მოვიპოვე, რომ...

ახლა არ დამიწყოთ, ვინ არის ეგ სარწმუნო წყარო, სადოურია, ქალია თუ კაცი?

სულერთია, მაინც არ დავასახელებ და თუ ბევრს „შემიფითილებთ“, არც ჩემი სარწმუნო წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გაგიმხელთ – ააა, შეშინდით?

მაშინ მოკაკვეთ თითი და მისმინეთ...

ამას წინათ აშშ-ის საელჩოში ე.წ. „პრადვინუტების“ დიდი საერთო კრება გამართულა – საიდუმლოდ, რასაკვირველია?!

ამ „საიდუმლო სირობის“ მონაწილეები მომავალი არჩევნების მათთვის სავალალო შედეგით დასრულების მოლოდინით შეშინებული პარტიები და მათი ლიდერები იყვნენ: კოალიცია ქართული ოცნება - მინუს გოგი თოფაძე, ნაცები, ახლები, ედპ, თავისუფალი დემოკრატები და ა.შ. სხვა მრავალი ყარტაყურტა პარტიები...

წესისამებრ ჯერ კრების თავმჯდომარე და მდივანი უნდა აერჩიათ და ერთხმად დაადგინეს, შესაბამისად აშშ-ის ელჩი იან კელი და ნატოს ელჩი ჯეიმს აპატურაი!

თავმჯდომარე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კრების წინაშე – ჯონ ქერის მითითება მთელს მსოფლიოში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების შესახებ და ურჩი საქართველო!

ჯეიმს აპატურაის თანამოხსენების პათოსი მოკლედ ასე ხმიანებდა – ნატოში გინდებლარიენ? ჯერ ქართულ ჯარში დაამკვიდრეთ ნატოს გეი-სტანდარტები და მერე „ფორტოჩკას“ კი არა, ალაყაფის ჭიშკარს გაგიღებთ, მხოლოდ თქვენი ჯარისკაცების დაღვრილი სისხლი საკმარისი არ არის, პატარა დუმების თამაშიც უნდა ისწავლოთო...

კრების ბოლოს სეფესიტყვა ისევ იან კელიმ თქვა – არც ერთი პატრიის ლიდერი არ უქნიხართ ღმერთს, მომავალ არჩევნებში წარმატების გარანტი იქნება თუ ყველანი ერთ ბლოკში გაერთიანდებით და ამ ბლოკის ლიდერი ბუკა-ალექსი თუ ალაქსი-ბუკა პეტრიაშვილი იქნება. თქვენი გამარჯვება კი საქართველოში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას, ნატოში შესვლას და კავკასიიდან რუსეთის გაძევებას ნიშნავს!

მუშტი დაჰკრა მაგიდას იან კელიმ და „საიდუმლო სირობაც“ დასრულდა, მაგრამ...

ციხე შიგნიდან ტყდებაო და ვიღაცას უცნობებია ეს ამბავი ვლადიმერ პუტინისთვის, რომელიც იმ დროს ობამას ესაუბრებოდა ტელეფონით სირიის კონფლიქტის შესახებ...

ჰოდა, რა დროს ობამა და სირიაა, „ია პერეზვონიუ“ მისტერ პრეზიდენტო, გულგახეთქილს „ტრუბკა“ დაუხეთქებია და იქვე მეორე „ტრუბკით“ თავის აგენტ ბიძინა ივანიშვილისთვის უბრძანებია – სასწრაფოდ „გააგრეთ“ ეგ ბუკა-ალექსია თუ ალექსი-ბუკაა, თვარა დევიღუპე ფესვიან ცოლ-შვილიანაო და საბურთალოს სასაფლაოზე მოხდა ის, რაც მოხდა...

ახლა ვინმე გამკილავს, ბუკა-ალექსია თუ ალექსი-ბუკაა, მაინც ადამიანია და რაც შეემთხვა იმაზე ღადაობა, რა საკადრისიაო?..

არც მე ვარ მხეცი, მაგრამ ზღვარს გადასულმა, ყოვლად უსაფუძვლო შეფასებებმა, უბრალოდ ადამიანური თანაგრძნობის სურვილი დამიკარგა...

რომელ შეკვეთილ თავდასხმაზე საუბრობენ, ვინ ბრძანდება ასეთი ბუკა-ალექსი თუ ალექსი-ბუკა, პრეზიდენტი კენედია, ინდირა განდი, რომის პაპი თუ ვინ, ვინ, რომ მისი უსახური პერსონის მიმართ პოლიტიკური ტერორი შეუკვეთოს ვინმემ?

ან რას ნიშნავს განცხადებები და არა მხოლოდ მისი თანაპარტიელების, არამედ მათი იდეოლოგიური ძმების, ნაცების მხრიდანაც, რომ ქვეყანაში სადაც პოლიტიკური პარტიის ლიდერს ამას უკეთებენ, უბრალო ადამიანებმა რაღა ქნან? არავინ არის დაცულიო!..

ქართული ოცნების ხელისუფლების აპოლოგეტობას ვერავინ დამწამებს, მაგრამ მათ გამო დამძიმებულ კრიმინოგენური ვითარების თეზას ვერასგზით ვერ გავიზიარებ.

ასეც რომ იყოს, ვერანაირ ლოგიკაში ვერ ჯდება იმის მტკიცება, რომ საერთო კრიმინოგენური ვითარების გამო მოხდა ის, რაც მოხდა (ეს ჩერგოლეიშვილი „ტაბულას“ თემაა)!

მიუხედავად უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა, ვერაფრით დამცდება ისიც, რომ ნაცების დრო ჯობდა დღევანდელს – გაიხსენეთ ხალხო, რა დღეში ვყავდით ამ ნაძირალა საა კა შვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილ-ახალაიებს 9 წლის მანძილზე, ნახევარი საქართველო რომ ციხეში იყო, ციხისა და სამეგრელოს „კასრების“ საშინელი კადრები დაგავიწყდათ?

ქოცებს თავიანთი ცოდვები ეყოფათ, ამ ხელმოცარული, მხოლოდ თანამდებობებისთვის მებრძოლთა უსაფუძვლო ბრალდებებიც რომ არ დავუმატოთ!

შეცდომები, დანაშაულები კი, იცოცხლეთ, ბევრი აქვთ და უმთავრესი მართლაც ცოდვა ის არის ივანიშვილის ხელისუფლებისა, რომ ჯერ ერთი, სამართლიანობა არ (დიახ,არ და არა ვერ) აღადგინეს და მეორეც, პოლიტიკურად მიცვალებული ნაცები, რომელთაც მხოლოდ ბალზამირება და მიწის მიყრაღა აკლდათ, გააცოცხლეს და ისინი ახლა უნამუსოდ გვიკითხავენ მორალს!

ზემოთ პრეზიდენტი კენედი ვახსენე, რომლის მკვლელობის საქმე აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ (დიახ, აქაც არ და არა ვერ) გამოიძიეს. ამას დავუმატოთ ისიც, რომ თვე, კვირა არ გავა ისე, რომ ვიღაც მანიაკმა სკოლაში თუ სხვაგან, ათობით ადამიანი არ დაცხრილოს...

მიუხედავად ამისა, ზემოთ ჩამოთვლილ ამერიკის მონა პარტიებს დასცდებათ აუგი აშშ-ის მძიმე კრიმინოგენურ ვითარებაზე და იტყვიან, რომ იქ მართლაც არავინ არის დაცული?..

ვფიქრობ, რიტორიკული კითხვაა და ახლა საბურთალოს სასაფლაოს „ტერაქტს“ დავუბრუნდეთ...

ყველაფრიდან ჩანს, რომ ბუკა-ალექსიზე თუ ალექსი-ბუკაზე თავდასხმის მოტივაცია პირადულშია საძებნი და, მით უმეტეს, მისი მოკვლა რომ სდომოდათ, ფეხებში კი არა, გასიებულ გოგრაში ესროდნენ!

რაც შეეხება ამ საქმის გახსნა-არ გახსნას, თუ არ გაიხსნა ე.ი. დაზარალებულს არ სურს რაღაც უხერხული მოტივაციის გამო...

თორემ ძნელი წარმოსადგენია, როცა ამ საქმის თვითმხილველი მოწმეები არსებობენ თავისუფალი დემოკრატების გენ-მდივნის ძმაკაცების სახით, სურვილის შემთხვევაში ვერ დაადგინონ დამნაშავეთა ვინაობა!

მთელმა თბილისმა იცის და ლაპარაკობს იმაზე, თუ რა, ვინ და რის გამო ჩაიდინა საბურთალოს სასაფლაოზე...

ისე, ძმაკაცობაც სხვაგვარად მესმის – როგორ, ძმაკაცი ჯერ დამიბეგვონ და შემდეგ თვალწინ მიკლავდნენ, და მე ყურებჩამოყრილმა ვუყურო?..

დავით მხეიძე.

P. S. ბუკა-ალექსიზე **თუ ალექსი-ბუკაზე მეტად ის მადარდებს, რაც წინამდებარე წერილზე მუშაობისას შევიტყვე – ბათუმში გეების ძეგლი დაუდგამთ. თუმცა, გვარწმუნებენ რომეო და ჯულიეტა არიანო?! ჯულიეტაში თუ „რუსთავი-2“-ის „ჯულიეტოვნა“ იგულისხმება, მაშინ კი, ბატონო... და მეორე, ეს ნაძირალა ზაზა ბურჭულაძე სულ გათავხედდა – საკუთარ დედაზე სექსუალური ლტოლვა არ იკმარა და ახლა ჩვენს უწმინდეს პატრიარქს გადასწვდა, თბილისის ქუჩებში ზოოპარკიდან გაქცეული მხეცები დავხოცეთ და მათ მაგივრად მთავარი მხეცი ილია მეორე ვოლიერში უნდა დავამწყვდიოთო!**

ღმერთს შენდობას ვთხოვ ამ სიტყვების გამეორებისთვის, მაგრამ ერთი რამ გვახსოვდეს ქართველნო – თუ ესეც გადავყლაპეთ და მხოლოდ ფეისბუქის ლომურ აღშფოთებას დავჯერდით, ღმერთი ნამდვილად აღარ შეგვინდობს!

დ. მ.

ხელფასი არ მოგემატებათ, მაგრამ არც შეგიმცირდებათო!

დედაქალაქის **მერია მეტროპოლიტენის მემანქანეთათვის ხელფასების გაზრდას არ გეგმავს.**

შესაბამისი განცხადებით თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მეტროპილიტენის მემანქანეთა მოთხოვნების საპასუხოდ გააკეთა.

– მერიას ხელფასის მატებასთან დაკავშირებით რესურსი არა აქვს, ვინაიდან წელს ჩვენ ადმინისტრაციული რესურსების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია გამოვაცხადეთ და ეს ეხება ყველა სამსახურს. შემცირებით არ შეგვიმცირებია, მაგრამ გაზრდის რესურსი წელს არა გვაქვს, – აცხადებს დავით ნარმანია.

შეგახსენებთ, რომ მეტროპოლიტენის მემანქანეებმა გუშინ ხელფასების გაზრდის მოთხოვნით გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, ისინი გაფიცვას აპირებენ.

ტყიბულელ მეშახტეებთან შეთანხმება მიღწეულია

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ჟორჟოლიანის განცხადებით, ტყიბულელ მაღაროელებთან ამ ეტაპზე მიღწეულია შეთანხმება, რომელიც საშუალებას იძლევა, საწარმოს ფუნქციონირება გაგრძელდეს.

როგორც დეპუტატმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, გაფიცულებს 1 მარტიდან ხელფასი ეზრდებათ, მათი შრომის პირობების მონიტორინგს კი სამმხრივი კომისია და ჯანდაცვის სამინისტრო განახორციელებს.

„გაფიცულებმა გარკვეულ შედეგს მიაღწიეს. მათ 7%-იანი მატება ექნებათ ხელფასზე 1 მარტიდან, აპრილში კიდევ იგეგმება გარკვეული მატება, სადღაც 10%-მდე. ამავდროულად, გაგრძელდება მოლაპარაკებები შეთანხმების საკითხთან დაკავშირებით, რომელიც 2011 წელს იყო დადებული. პროფკავშირები და კომპანია ამ საკითხზე საუბარს გააგრძელებენ. ტყიბულელებს აქვთ საგადასახადო შეღავათები, ეს შეღავათები ეხებათ მათ, ვისაც 18 წლამდე ასაკის 3 შვილი, ერთი ან ორი შვილი ჰყავთ. მათ აღუდგებათ ის შეღავათები, რომლებიც 2016 წლის 1 იანვრამდე ჰქონდათ“, – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

ნებისმიერი ხელისუფლება ან სიკეთის წყაროა, ან - ბოროტებისა!..

2 ნაწილი

„მიგრენს გილიოტინით არ კურნავენ“

პირველ წერილში იყო მცდელობა გულწრფელად წარმოგვეჩინა ზნეობრივი, მორალური და პროფესიონალური კრიტერიუმების მნიშვნელობა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მართვაში. საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის პიროვნული თვისებები და პროფესიონალური ნიჭი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოში მოვლენების განვითარების მიმართულებასა და შინაარსს, ავკარგიანობას. ამიტომ სწორედ ამ ლიდერის შერჩევისას საზოგადოება, ყველა შემთხვევაში მისი ინტელექტუალური ნაწილი მაინც უნდა ხელმძღვანელობდეს შესარჩევი კანდიდატის ზნეობრივი თვისებებითა და პროფესიონალური უნარის კრიტერიუმებით. სწორედ ეს და არა სხვა ფაქტორი უნდა იყოს ხელისუფალთა შერჩევისა თუ დანიშვნის, ფუნდამენტური, ძირითადი განმსაზღვრელი პირობა. თუ საზოგადოება სათანადოდ ვერ ფლობს საკუთარი ინტერესების დაცვის ამ იმუნიტეტს, მაშინ **„მანიაკი, უპასუხისმგებლო და უსახო პიროვნება, რომელიც თავისუფალია ზნეობრივი, ეთიკური თვისებებისა და მორალისაგან, ადვილად იკავებს ლიდერის როლს“** (მაკიაველი).

ამ მოვლენის ფილოსოფიას ჭაბუა ამირეჯიბი ოსტატურად აყალიბებს გრაფი სეგიდის მონოლოგში: **„სახელმწიფო მართვისათვის დაბადებულად თავის თავს სწორედ და უპირველესად, შეზღუდული და სულიერად ხელმოცარული კაცები სთვლიან. ისინი გასაოცარი მხნეობითა და შეუპოვრობით მიიწევენ წინ და მათგან უბეჯითესნი აღწევენ კიდეც მიზანს — მართვის მეტნაკლებად მნიშვნელოვან სადავეებს... ყოველივე ეს ძირითადად მანიაკობიდან მოდის, როცა კაცს თავისი უპირატესობა უყოყმანოდ, ფანატიკურად სწამს, მაშინ ყოველი ქმედება, ყველა საქციელი თავხედობამდე გაბედულია. თავხედობა გოდოლებს მუსრავს, მაგრამ დაპყრობილის შესანარჩუნებლად ჭკუა, განზოგადოების უნარი და შემოქმედებაა საჭირო, რაც ჩვენს შემთხვევაში გამორიცხულია“.**

თუ კარგად დავაკვირდებით და ობიექტურად შევაფასებთ ჩვენს ხელისუფალთ, ანუ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში წლების მანძილზე თბილად მოკალათებულ პერსონათა სულიერ და პროფესიონალურ პორტრეტს დავინახავთ, რომ მათი უმეტესი ნაწილი სწორედ ამ მანკიერი თვისებებისა და საზოგადოების უმწიფრობის გამო გრძნობენ თავს კომფორტულად. ქართველმა საზოგადოებამ თავისი გაუწონასწორებელი, არათანმიმდევრული თვისებებითა და ხასიათით გამოწვეული სავალალო შედეგების ტკივილიანი სუსხი საკმაოდ იწვნია და ვფიქრობ, რომ მის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე გაცნობიერებული აქვს ქვეყანაში შექმნილი ვითარების არსი და მისი წარმოშობის ნამდვილი მიზეზები, ამიტომ მომავალში ხალხის არჩევანი, ალბათ, უფრო აზრიანი და პრაქტიკული იქნება. ჩემი მიზანია მკითხველს გავუზიარო პროფესიის, საპროკურორო და საადვოკატო პრაქტიკის აგრეთვე, კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული სუბიექტური შეხედულებები, ქვეყანაში მიმდინარე ე.წ. სასამართლო და სამართლებრივ რეფორმებთან დაკავშირებით. ამ წერილით გვინდა საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ მოცემულ სფეროში არსებულ პრობლემებს და ბიძგი მივცეთ ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ დისკუსიას.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ სოციალურ სფეროში გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების მიერ დამნაშავეობასთან ბრძოლის ფორმასა და შინაარსს, სტრატეგიასა და ტაქტიკას. საკუთრივ სოციალური პოლიტიკის არსი და ბუნება განპირობებულია მმართველობის ფორმითა და შინაარსით. პარტოკრატიულ-დესპოტურ მმართველობას ყოველთვის ახასიათებს ისეთი საკანონმდებლო სისტემა, რომელიც ამკვიდრებს ხელისუფლების შეუზღუდავი, თვითნებური, პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი ქმედების უფლებას და პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების დეკლარირების ფონზე, რეალურად შეუძლებელს ხდის მის დაცვასა და რეალიზაციას. მმართველობის დემოკრატიული ფორმა პირიქით, ხასიათდება ისეთი სამართლებრივი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების (სახელმწიფოს) გარდაუვალ პასუხისმგებლობას გატარებული პოლიტიკისათვის და უზრუნველყოფს საზოგადოებისა და პიროვნების, სახელმწიფოს ჩარევისაგან თავისუფალ განვითარებას. თუ მოვლენებს განვიხილავთ კონკრეტულად სისხლის სამართლის მიმართულებით გატარებული პოლიტიკის კუთხით, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სფეროში თანამედროვე დასავლური პოლიტიკის არსი მდგომარეობს სისხლის სამართლებრივი რეპრესიის შეთავსებაში სასჯელის ეფექტურობის ამაღლებასთან, რაც მოითხოვს დამნაშავეობასთან ბრძოლისადმი კომპლექსურ სოციალურ მიდგომას და გამორიცხავს შიშველ ადმინისტრირებას, მხოლოდ სანქციის გამკაცრების ხარჯზე, როგორც ეს საქართველოში ხდება. **ქვეყანაში ამ საშიშ ტენდენციას დასაბამი მისცა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ცნობილმა მოწოდებამ „ნულოვანი ტოლერანტობისა“ და „ყველანი ციხეში“ შესახებ.** განვითარებული მოვლენები ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში ხასიათდება სახელმწიფო რეპრესიული მანქანის უპრეცედენტო გამკაცრებით. ამას ხელი შეუწყო აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ პერიოდში შექმნილმა ვითარებამ. კერძოდ, ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობამ მოითხოვა ცნობილი კანონის — „პატრიოტული აქტის“, მიღება. ამ საკანონმდებლო აქტით უსაზღვროდ გაიზარდა აშშ-ის სპეცსამსახურების უფლებამოსილება მოქალაქეებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლის თვალსაზრისით. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით აშშ-ში ეს პოლიტიკა, როგორც სამართლებრივად, ასევე ზნეობრივად და მორალურად გამართლებული იყო, რამდენადაც ემსახურებოდა საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების ინტერესებს, ამავდროულად მიმართული იყო რეალური საფრთხის მატარებელ პირთა ჯგუფზე და არა მთლიანად საზოგადოებაზე. საგულისხმოა, რომ სახელმწიფომ პარალელურად გაატარა სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის ეფექტური ღონისძიებები საზოგადოების დანარჩენი ნაწილის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების უზრუნველსაყოფად. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალებმა „პატრიოტული აქტით“ აღიარებული ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები (თვალთვალი, მოსმენა, დასმენა, ანონიმური ინფორმაციის ლეგალიზაცია და ა.შ). სამართლებრივი რეფორმის ეგიდით გადმოიტანეს და დაამკვიდრეს ქართულ სინამდვილეში. ეს პროცესი მიზნად ისახავდა მოქალაქეებისა და საზოგადოების უფლების შეკვეცას და ხელისუფლებაში მყოფი ძალების თვითნებობის დამკვიდრებას. ხელისუფლება ინფორმაციის თანამედროვე ტექნოლოგიებს მოხერხებულად იყენებდა საკანონმდებლო ცვლილებების რეპრესიული არსის დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების სახით წარმოჩენისთვის. სამართლებრივი რეფორმის ასეთი მიმართულება ხელისუფლებას უქმნიდა ისეთ კომფორტულ მდგომარეობას, რომ ერთ-ერთი „დემოკრატი“ რეფორმატორი პარლამენტარი გამოვიდა „პატრიოტული აქტის“ მიღების ინიციატივით. ამ იდეამ ქვეყნის მმართველ წრეებში და მის უკან მდგომ ძალებში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, რამდენადაც აშკარად რეპრესიული ხასიათის საკანონმდებლო აქტის მიღება, როცა ამის რაიმე ობიექტური მიზეზი არ არსებობდა, ვერ წაადგებოდა რეფორმის პროპაგანდის საქმეს. სხვა საქმეა სპეცსამსახურების საქმიანობაში ამ მეთოდების დანერგვა და გამოყენება დემოკრატიული სამართლებრივი რეფორმის ეგიდით, რაც ხდებოდა კიდევაც. აღნიშნულის უტყუარი დასტურია ათასობით ფარული ჩანაწერები, სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული აგენტურული და სხვა რეპრესიული ხასიათის სასტიკი ფორმები და ა.შ. ამდენად, სინამდვილეში ქვეყანაში გატარებულ სამართლებრივ რეფორმას არაფერი ჰქონდა საერთო დასავლურ დემოკრატიულ სამართლებრივ სისტემის ჩამოყალიბებასთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სისხლის სამართლის სფეროში დასავლური მიდგომის მაგისტრალური მიმართულებაა რეპრესიული მეთოდების შემცირების შეთავსება სასჯელის ეფექტურობის ამაღლებასთან. ჩვენში მოხდა პირიქით. ამ შემთხვევაში ყურადღებას მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე სასჯელის შეკრებითობის პრინციპის დამკვიდრებაზე გავამახვილებდი. კანონმდებლობაში ამ ცვლილების განხორციელებით სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ერთად მოხდა დანაშაულისა და სასჯელის პროპორციულობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის უხეში დარღვევა. ცნობილია, რომ სამართლებრივი სისტემის მდგრადობა, მისი სტაბილურობა კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. **კანონის ხშირი ცვლილება მის კონიუქტურულ ხასიათზე მიუთითებს. სწორედ ასეთმა კონიუქტურულმა ცვლილებებმა გააპირობეს კანონიერებასა და სამართლიანობას შორის დღეს არსებული კოლიზია.**

დასავლური სისხლის სამართლის პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულება ე.წ. აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპის დანერგვა და განვითარებაა, რაც უპირველესად გულისხმობს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინტერესების დაცვის პროცესუალური გარანტიების გაძლიერებას. აქვე შევეცდებით კონკრეტული ნორმების ანალიზის საფუძველზე დავასაბუთოთ, რომ საქართველოში ე.წ. რეფორმების ეგიდით გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა დიამეტრულად საწინააღმდეგო სამართლებრივი პრაქტიკა. კერძოდ, დაზარალებულის ინსტიტუტმა დაკარგა სისხლის სამართლის პროცესში ადრე არსებული გარანტიები, სამართლებრივი მექანიზმები და იქცა მხოლოდ ფორმალური ნიშნის მატარებელ ტერმინად. **რეპრესიული ხასიათის გაძლიერებისაკენ მიმართულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ფაქტიურად დაცალა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნქციისაგან, სასჯელს დაუკარგა ჭეშმარიტი სოციალური დანიშნულება და მხოლოდ შიშის დანერგვის ფუნქცია დაუტოვა მას.** დემოკრატიულ საზოგადოებაში სასჯელი უპირველესად განიხილება როგორც სამართლიანობის აღდგენის საშუალება. აღდგენითი მართლმსაჯულების ამერიკელი იდეოლოგი ხოვარდ ზერი თვლის, რომ დასჯაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება იწვევს დამნაშავის მხრიდან ნამდვილი პასუხისმგებლობის განცდის ნიველირებას. მისი აზრით, მართლმსაჯულების ამოცანა უნდა განისაზღვრებოდეს არა იმით, თუ „რა ვუყოთ ბოროტმოქმედს“, ან „რა სასჯელს იმსახურებს დამნაშავე“, არამედ ის თუ „რა არის საჭირო, სამართლიანობის აღდგენისთვის“, რაც უპირველესად გულისხმობს დაზარალებულის კანონიერი ინტერესების ეფექტურ დაცვას. სწორედ ეს უნდა იყოს სასჯელის შინაარსის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი. იგი მიიჩნევს, რომ უპირველესად სწორედ აღნიშნულ პრინციპს უნდა ექვემდებარებოდეს საპროცესო შეთანხმების პირობების დადგენა. ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ ან მხოლოდ ფორმალურად ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესებს. მასზე პროცესუალურად არ არის დამოკიდებული საპროცესო შეთანხმების გაფორმება. **გამოდის, რომ დაზარალებულის კანონიერი ინტერესები მხოლოდ პროკურორის (სახელმწიფოს) ბრალდებულთან ვაჭრობის და საპროცესო გარიგების მიღწევის საშუალებაა.**

ამდენად, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში გატარებული რეფორმები სრულად იყო დაქვემდებარებული ხელისუფლებაში მოსული ავანტიურისტების პოლიტიკურ ინტერესებს. ამის ნათელი დასტურია საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რომლის შინაარსიც აშკარად და ღიად ატარებენ პრემიერობის სამზადისში მყოფი სააკაშვილის ავადმყოფურ ბოდვებს. მისი ამბიციების დაკმაყოფილების სურვილით უნდა აიხსნას კონსტიტუციის ნორმებში არსებული ორაზროვანი, ბუნდოვანი, დაუმთავრებელი და უსისტემო ფორმულირებები, ცალკეული კონსტიტუციური დებულებებისა და ინსტიტუტების არათანმიმდევრულობა. არა მგონია, მსგავსი ფორმისა და შინაარსის კონსტიტუცია პლანეტაზე იყოს, ამიტომ, ვფიქრობ, ავტორთა ნოვატორული ნიჭი და შემოქმედება ამ „უნიკალური“ ნიმუშის შექმნის გამო სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის შეფასებული. ეჭვი არ მეპარება დღევანდელი და მომავალი თაობა მას ობიექტურად და სათანადოდ შეაფასებს... საკუთრივ კონსტიტუციური ცვლილებების ეს ფაქტი კი სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების კლასიკური მაგალითია. ცნობილია, რომ რეფორმატორები და მათი „პატრონები“ გატარებული სამართლებრივი რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევენ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღებას. ისინი აპელირებენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაზე, მართლმსაჯულებაში შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის აღიარებაზე და ა.შ. ეს პროპაგანდისტული სპეკულაციაა და სხვა არაფერი. **სინამდვილეში მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არის შუასაუკუნეობრივი ინკვიზიციური პროცესისკენ სვლა და მას არაფერი აძვს საერთო დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებასა და სამართლიანობასთან.**

ჯემალ შელია,
ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ადვოკატი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 39

„სამხრეთ ოსეთი სახელმწიფო კი არა, პატარა მიწა-წყალია, თანაც არა ყირიმი, რომ კრემლს მიერთება უღირდეს“

— ბატონო ჯაბრაილ, უკვე 20 წელზე მეტი გავიდა, რაც სამხრეთ ოსეთი საქართველოსგან დამოუკიდებლად ცხოვრობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი მთავარი და, არსობრივად, ერთადერთი საგარეო პოლიტიკური პარტნიორი რუსეთია. ასევე რუსეთის პატრონატით ცხოვრობდა სამხრეთ ოსეთი მთელი ამ ხნის განმავლობაში ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორ შეაფასებდით განვლილ პერიოდს და როგორია, თქვენი აზრით, რუსეთ-ოსეთის ამ უკვე მრავალწლიანი პარტნიორობის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები?

— სამხრეთ ოსეთი, ცდილობდა რა, მოეპოვებინა საქართველოსგან დამოუკიდებლობა, ნებაყოფლობით მოხვდა კიდევ უფრო მეტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოკიდებულებაში, ამჯერად — რუსეთზე. სახელმწიფოებრიობის ყველა სიმბოლოს (დედაქალაქის, ჰიმნის, დროშის, ღერბის, პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის, სასამართლოს) მოპოვებასთან ერთად, განვლილი 20 წლის განმავლობაში მან ვერ შეავსო რეალური შინაარსით „დამოუკიდებლობის“ ცნება. როდესაც სახელმწიფოს ბიუჯეტი 90%-ით ფორმირდება რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის დოტაციით, ხოლო საკუთარი სახსრები და შემოსავლების წყარო არ არსებობს, ეს არა სახელმწიფო, არამედ ტერიტორიაა. ჩემი აზრით, რუსეთს იმთავითვე არ ჰქონია განზრახვა, შეექმნა სამხრეთ ოსებისთვის სახელმწიფო. ეს ტერიტორია მას ამიერკავკასიაში საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად სჭირდებოდა, როგორც სამხედრო ბაზა, ჩაუძირავი „ავიამზიდი“. მით უფრო, რომ ავიამზიდის შენახვა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე თანხები, რომელსაც მოსკოვი სამხრეთ ოსეთზე ხარჯავს.

— როგორია სადღეისოდ სამხრეთ ოსეთის შიდაპოლიტიკური, საგარეო და ეკონომიკური მდგომარეობა?

— სამხრეთ ოსეთის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა ხასიათდება უამრავ (სამხრეთ ოსეთის მასშტაბებისთვის) პოლიტიკურ პარტიას შორის გაუთავებელი გარჩევებით, ამომრჩევლის განწყობებზე თამაშით, რათა მუდმივად შეინარჩუნონ ადგილი კვების წყაროსთან და „ხერხონ“ ფულადი ნაკადები, რომელიც რუსეთიდან შემოდის. არაფერი აფუჭებს და რყვნის ხალხს ისე, როგორც სხვის კმაყოფაზე ყოფნა, ცხოვრება საკუთარი შრომის, საკუთარი ძალისხმევის (ინტელექტუალური და ფიზიკური) გარეშე. მრავალრიცხოვანი ჩინოსნები მოქალაქეთა საერთო რაოდენობის 5-7 %-ს შეადგენენ, ხოლო იმ ფონზე, როცა მოსახლეობის რიცხოვნობა სულ 30-35 ათასი ადამიანია (უფრო ნაკლები, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთის პრავობერეჟნი რაიონში) — ეს მუდმივი არასტაბილურობაა. თითოეულს სურს, მუქთად იკვებოს.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას, იგი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, ხოლო მისი დიპლომატიური ურთიერთობები მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან არათანაბარუფლებიან ხასიათს ატარებს. ვინც კვებავს და ვინც იკვებება, არ შეიძლება, თანასწორუფლებიანი პარტნიორები იყვნენ და „მუსიკას ის უკვეთს, ვინც იხდის“.

ახლა — ეკონომიკურ მდგომარეობაზე: სამხრეთ ოსეთი მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული და გარდა ამისა, წარმოადგენს „შავ ხვრელს“ რუსი კორუფციონერებისთვის, რომელთაც იქ საკუთარი „მარჟა“ აქვთ. არავითარი ინვესტიცია ან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არ შეიძლება, იყოს ფორპოსტთან, როგორადაც თვლის საკუთარ თავს სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის. ეს არის ქვეყანა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოწყალებით გაღებული სახსრებით და ბაზრობის მოვაჭრეთა საქმიანობის ხარჯზე ცხოვრობს, რომელთაც საქონელი რუსეთიდან შემოაქვთ, მათ შორის — იმპორტულიც.

— ამასწინათ გაიჟღერა ლეონიდ თიბილოვის მორიგმა განცხადებამ რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლისა და ამ საკითხზე უახლოეს ხანებში რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობის თაობაზე. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— თიბილოვის განცხადება, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას უკავშირდება და მორიგი სპეკულაციაა საკუთარი ამომრჩევლის გრძნობითა და გონებით. ყოველი მორიგი კანდიდატი იყენებს ამ ფაქტორს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის, რომელთაც არც რეალობასთან, არც სამხრეთ ოსი ხალხის ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს.

— თიბილოვის არაერთი განცხადების მიუხედავად, თავად რუსეთი არ ჩქარობს, სამხრეთ ოსეთი ოფიციალურად მიიერთოს. მეტიც, ბოლო დროს მოსკოვში სულ უფრო ხშირად ისმის უკმაყოფილება „რუსეთის ხარჯზე პარაზიტად მცხოვრები რესპუბლიკებისთვის (იგულისხმება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) მოწყალების გაუთავებელ მიწოდებასთან“ დაკავშირებით. რაში ხედავთ ამის მიზეზს და როგორია, თქვენი აზრით, პერსპექტივები სამომავლო ურთიერთობისა რუსეთთან, რომელსაც ამჟამად თავადაც მთელი რიგი პრობლემები აქვს — როგორც საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, ისე ეკონომიკური კუთხით?

— პრეზიდენტ თიბილოვს მშვენივრად ესმის, რომ მისი განცხადებები „რუსეთთან მიერთების“ შესახებ პოლიტიკური თამაშია, რომელსაც ახდენა არ უწერია. რუსეთმა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არა იმისთვის აღიარა, რომ შემდგომში მიეერთებინა, არამედ იმისთვის, რომ უზრუნველეყო საკუთარი უსაფრთხოება სამხრეთ საზღვრებზე და ამასთანავე, ესპეკულირა საკუთარ გეოპოლიტიკაში. სამხრეთ ოსეთი ყირიმი არ არის — არც ზომით, არც მოსახლეობის რაოდენობით, არც სტრატეგიული მდებარეობით — მსოფლიო ოკეანესთან გასასვლელის გარეშე. ეს უფრო გამაღიზიანებელი ფაქტორია საქართველოსთვის, ევროკავშირის ქვეყნებისა და აშშ-ისთვის, რომელთაც ასევე აქვთ საკუთარი სტრატეგიული ინტერესები ამიერკავკასიაში.

— არსებობს თუ არა, თქვენი აზრით, სამხრეთ ოსეთისთვის რუსეთის რაიმე ალტერნატივა? საქართველომ, რომელმაც საკუთარ საგარეო პოლიტიკურ ორიენტირად ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია აირჩია, ბოლო პერიოდში არაერთხელ შესთავაზა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მასთან ერთად ამ გზით სიარული, თუმცა ყველა ეს წინადადება კატეგორიულად უკუგდებულ იქნა. რას ფიქრობთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ევროპულ პერსპექტივებზე — საქართველოსთან ერთად ან მის გარეშე?

— ჩემი აზრით, სამხრეთ ოსეთს ჯერჯერობით რუსეთის ალტერნატივა არ აქვს. თუმცა ბევრი რამ დამოკიდებულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების აღდგენის გასაღები კრემლში ინახება. საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის, ასევე საქართველოს გონივრული, მრავალვექტორული, მხარეთა ინტერესების ურთიერთდამცველი, ან, კიდევ უკეთესი, ბლოკგარეშე პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ეს ყველაფერი უბიძგებს დაახლოების გზების ძიებისკენ და შესაძლოა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოში დაბრუნებისკენაც კი, ფედერაციის ან კონფედერაციის ფორმით.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ევროპულ პერსპექტივას, ვფიქრობ, იგი შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს თანხმობით, ან, კიდევ უკეთესი — საქართველოსთან ფედერაციის შემადგენლობაში, ამა თუ იმ ფორმით. საერთაშორისო საზოგადოება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს მიწა-წყლის განუყოფელ ნაწილებად განიხილავს, ხოლო რუსეთი ფასდება, როგორც დროებითი ოკუპანტი.

საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, რუსეთის მზაობა, საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი გაუუქმოს (თავად საქართველომ იგი რუსეთის მოქალაქეებისთვის დიდი ხანია, გააუქმა) ნაყოფიერად იმოქმედებს საქართველოსთან სამხრეთ ოსეთის ურთიერთობაზეც. უარი უნდა ითქვას ოსების, რუსებისა და ქართველების მტრებად განხილვის პოზიციაზე. ისინი ერთმანეთისთვის მტრები არ არიან.

სამხრეთ ოსეთის ერთი პატარა მიწა-წყალი დემილიტარიზებული უნდა იყოს და გამოიყენებოდეს საქართველოსა და რუსეთს შორის თავისუფალი ეკონომიკური ხელშეწყობის ზონად.

საქმე დასაწყებია მარტივი ადამიანური ურთიერთობების დონეზე.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

◎ ჩვენც სამყაროს ნაწილი ვართ...

ამერიკელი სერჟანტების რჩევები დიდად ნაგვადგება

საქართველოში სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის მთავარი სერჟანტი შერილ ლაიონი იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში მთავარ სერჟანტს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ უმასპინძლა.„აშშ-ის ევროპული სარდლობის მთავარი სერჟანტის ვიზიტი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენთვის. მას თან ახლავს ჩვენი მთავარი სერჟანტი, რომელიც ეცდება აჩვენოს ის საუკეთესო, რასაც ჩვენ მივაღწიეთ. პროფესიული სერჟანტთა სკოლის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ჩვენ ამით ძალიან ვამაყობთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ მსგავსი ვიზიტები გაიზრდება და მათი მიზანი იქნება არა მხოლოდ რჩევის მიცემა და დახმარების აღმოჩენა, არამედ გამოცდილების გაზიარებაც,“ — განაცხადა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ.

შერილ ლაიონი საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარ სერჟანტ ბესო ხატიაშვილთან ერთად OCC ბატალიონის წვრთნას დაესწრო და სერჟანტთა მომზადების ცენტრის მოინახულა. ვიზიტის ფარგლებში აშშ-ის ევროპული სარდლობის მთავარი სერჟანტი ქართველი სერჟანტების მომზადების პროცესს გაეცნობა და არსებული ვითარების შესახებ ევროპული სარდლობის გენერალს მოხსენებას წარუდგენს.

დავით ზალკალიანმა გაეროს საქართველოში მიმდინარე რეფორმები გააცნო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა, ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიაში მიიღო მონაწილეობა, სადაც სიტყვით გამოვიდა მაღალი დონის პანელზე „human rights mainstreaming“.

ღონისძიება მთლიანად დაეთმო 20/30-ის მდგრადი განვითარებისა და ადამიანის უფლებების დღის წესრიგს.

როგორც საქართველოს საგარეო უწყება იტყობინება, მინისტრის პირველმა მოადგილემ საკუთარი გამოსვლა მთლიანად დაუთმო მდგრადი განვითარების საკითხებზე საქართველოს მიდგომებსა და სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს.

დავით ზალკალიანმა ისაუბრა ჯანდაცვის სფეროში ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზე. მისი განცხადებით მოსახლეობის ჯანმრთელობის და ჯანსაღი წესით ცხოვრების უზრუნველყოფა მთავრობის მთავარი პრიორიტეტია. მან წარმატებულ მაგალითად მოუყვანა C ჰეპატიტის პროექტი და ასევე საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა. სიტყვით გამოსვლისას, მინისტრის პირველმა მოადგილემ ხაზი გაუსვა კარგი მმართველობის სფეროში რეფორმების გაგრძელების აუცილებლობას, რომელიც ორიენტირებულია ქვეყანაში მმართველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში.

მდგრადი განვითარების პროგრამის მთავარ პრიორიტეტად რჩება გენდერული თანასწორობის საკითხი. მინისტრის მოადგილემ ამ მხრივ კიდევ ერთხელ აღნიშნა გასულ წელს საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციის გამართვა.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ საგადასახადო შელავათი

ჰიბრიდული მანქანებისადმი ინტერესი გაორმაგდება

ჰიბრიდული ძრავის მქონე ავტომობილების იმპორტზე გადასახადი, სავარაუდოდ, განულდება. როგორც საპარლამენტო უმრავლესობა განმარტავს, განბაჟების წესის შეცვლა ამ კატეგორიის ავტომობილების ბიზნესს მნიშვნელოვნად წაახალისებს. სხვათა შორის, ასევე ფიქრობენ ავტომფლობელები და სპეციალისტებიც. ჰიბრიდული მანქანების შეძენის მთავარი ხელისშემშლელი პირობა მისი მაღალი ფასია. საგადასახადო შელავათი კი მის გაიაფებას მისცემს ბიძგს.

ზოგადი სტატისტიკით ელექტრომობილების წილი ავტოიმპორტში თითქმის ნულოვანია. ჰიბრიდების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 2-3%-ს არ აღემატება. შელავათის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი მინიმუმ გაორმაგდება.

„მსგავსი ნაბიჯებით მართლაც შეიძლება დავეხმაროთ საქართველოში ახალი და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის შემოსვლას, თუმცა, ჯერ უნდა დადგინდეს რომელ მანქანებზეა საუბარი, მხოლოდ ჰიბრიდულზე, თუ სხვა ეკოლოგიურ ტრანსპორტზე. შეიძლება მე არ მინდა ჰიბრიდული მანქანა, მაგრამ შემომყავს სულ სხვა ტიპის ეკომანქანა, ან სულაც ელექტრომობილი. ვფიქრობ, რომ თუ მთავრობის მხრიდან მხარდაჭერა იქნება, შეიძლება უფრო მეტმა ადამიანმა გადაწყვიტოს ჰიბრიდული მანქანის შეძენა. იმპორტიორი კომპანიებიც უფრო დაინტერესდებიან და არ არის გამორიცხული, რომ მათმა მომწოდებლებმაც უფრო მეტი შეღავათი დააწესონ. ვისაც ძველი მანქანა შემოჰყავს, ალბათ, მისი განბაჟების გადასახადი უფრო მეტი იქნება, ხოლო 0% დაწესდება ბოლო თაობის, ან ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა მანქანებზე“, — აცხადებს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძე.

მთავრობის ინიციატივა ბიზნესის წახალისებასთან დაკავშირებით ავტომფლობელთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს. მათი განმარტებით, ჰიბრიდულ ავტომობილებზე შეღავათების ამოქმედება მოთხოვნას გაზრდის, რაც ეკოლოგიის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

სოსო კვიციანისთვის ჰიბრიდული ავტომობილების შეძენა, როგორც ფინანსურად, ასევე ტექნიკური კუთხით, ძალიან მოსახერხებელია.

„ძალიან კარგია განსაკუთრებით ეკოლოგიისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით. საკმაოდ ბევრი მიზეზია, თუ რატომ ვამჯობინებ ჰიბრიდს. ის ელექტროძრავს მხოლოდ ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში რთავს. თითქოს ამბობენ, რომ აღმართზე ასვლისას მოსახერხებელი არ არის და ელექტროძრავა ქრებაო, რაც ასე არ არის, პირიქით, ასვლისას ელექტროძრავა მანქანას გაწევაში ეხმარება. მართალია, აქვს თავისი მინუსებიც, თუნდაც ფასი. გარდა ამისა, გასწრებისას პრობლემა წარმოიქმნება, მაგრამ მე ისე მომწონს, როცა გაიაფდება, აუცილებლად ვიყიდი“, — ამბობს სოსო კვიციანი.

მისი აზრით, ჰიბრიდზე განბაჟების წესების შეცვლა ეკოლოგიის თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯია. ჰიბრიდული ავტომობილების ბიზნესის წახალისება, მომხმარებელსაც დააინტერესებს.

საერთოდ კი, საქართველოში ავტომობილების რაოდენობა კატასტროფულად მატულობს. 2015 წლის ბოლოს ქვეყანაში სულ 1,1 მლნ მანქანა იყო რეგისტრირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ლამის ყოველ მეორე ადამიანს, ანუ ზრდასრული მოსახლეობის 40%-ს მანქანა ჰყავს.

სპეციალისტებს ამ მაჩვენებელს საგანგაშოს უწოდებენ და ხელისუფლებას სწორი სატრანსპორტო პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებენ. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის ხელმძღვანელის დავით მესხიშვილის ინფორმაციით, ავტოპარკის 60,9%-ს მსუბუქი ავტომობილები შეადგენს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2004 წლამდეა წარმოებული. არსებული მონაცემებით, ავტოპარკის 40% თბილისშია თავმოყრილი.

„ეს არის ის კატეგორია, რომელთაც ტექდათვალიერების გავლა გაუჭირდება. 400 000-ზე მეტია 10-დან 20 წლამდე ასაკის ავტომობილიც. რაც შეეხება სრულიად ახალ ავტომობილებს (0-დან 3 წლამდე), მათი რიცხვი 50 ათასს არ აღემატება, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია“, — განმარტავს მესხიშვილი.

ბეჭა დანელია

საგადასახადო შემოსავლები იზრდება

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ინფორმაციით, შარშანდელთან შედარებით იანვარ-თებერვალში საგადასახადო შემოსავლები 7,1%-ით არის გაზრდილი. ჟურნალისტებთან საუბრისას მინისტრმა არასწორი უწოდა იმ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, იანვარ-თებერვალში საგადასახადო შემოსავლები შემცირებულია. ხადურის თქმით, თებერვალში საგადასახადო შემოსავლების გეგმა 34 მილიონი ლარით არის გადაჭარბებული.

„ეს არის ახალი ინფორმაცია. ფინანსთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება ამასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტის განწერა არის სრულად გამოქვეყნებული და ბიზნესმა და იმ ადამიანებმა, ვისაც აქვთ შეხება ძალიან კარგად იციან, რომ გადასახადების გადახდას თავისი კალენდარი აქვს“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე თქმით, მარტში უფრო მეტი გადასახადები შემოვა ქვეყანაში. ფინანსთა მინისტრის თქმით, ხარჯები არის თანაბრად გასაწევი და შესაბამისად, სწორად განწერა ითვალისწინებდა იმას, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დაფინანსების სხვა კანონიერი, არსებული საშუალებები და ემისიური დაფინანსება საქართველოს ბიუჯეტს არ სჭირდება.

◎ პრობლემები დროულად უნდა მოგვარდეს

საოჯახო ტურიზმის შუქ-ჩრდილები

ტურიზმი საქართველოში რჩება სფეროდ, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლა. ხელისუფლების მიერ ბოლო ხანებში მიღებული გადაწყვეტილებები, — მაგალითად, ირანთან სავიზო რეჟიმის გადახედვის შესახებ გადაწყვეტილება, — ევროპასთან უვიზო მიმოსვლის პერსპექტივაც და თურქეთის სასტუმროებზე რუსეთის ტურისტული კომპანიების უარიც კვლავ აქტუალურს ხდის კითხვას, რამდენად არის საქართველო მზად საშუალო ფენის მომხმარებლის — საშუალო შემოსავლის მქონე ტურისტის — მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ტურიზმის სფეროს ბოლო მოცულობითი კვლევის — 2014 წლის — მონაცემებით, საოჯახო სასტუმროების საწოლი ადგილების რაოდენობა მთლიანი საწოლი ადგილების 18 %-ს შეადგენს. საქართველოში ღამის გათევა საოჯახო სასტუმროებში, სამჯერადი კვებით, საშუალოდ, 50 ლარი ღირს, კვების გარეშე — 25-35 ლარი. ტურისტების ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა, საშუალოდ, 3-5 დღეა.

ტურისტული სფეროს მომხმარებელთა და ამ ბიზნესში ჩართულთა გამოკითხვამ საკმაოდ საინტერესო შედეგები აჩვენა, რომელიც დღესაც აქტუალურია.

საოჯახო სასტუმროების მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი პრობლემები: მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (გაუმართავი მისასვლელი გზები); ინფორმაციის ნაკლებობა რეგიონებში არსებულ საოჯახო სასტუმროებზე; ფასისა და მომსახურების ხარისხის შეუსაბამობა; სველი წერტილების პრობლემა; ეთნოგრაფიული კუთხის არარსებობა; სუვენირების სიმცირე.

ამ პრობლემების არსებობას ადასტურებს მეორე მხარეც: საოჯახო ტურიზმში ჩართულთა 80 % ამბობს, რომ მთავარი პრობლემა ინფრასტრუქტურაა, კერძოდ, დაბალი გამავლობის მქონე მანქანით შეუძლებელია მთიანი რეგიონებისკენ მიმავალი გზების გავლა. არადა, ტურიზმის, განსაკუთრებით, უცხოელ ტურისტთა ინტერესი ხშირად სწორედ მთაში განთავსებული კურორტებისა და ისტორიული დასახლებებისკენაა მიმართული. გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო მაღალმთიან რეგიონებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია ტურების განხორციელება და ძალიან ბევრი, ტურისტისთვის საინტერესო, ღირსშესანიშნაობის დათვალიერება.

გამოკითხვის თანახმად, საოჯახო სასტუმროების მფლობელები ცდილობენ, საკუთარი სახსრებით მოაწესრიგონ გზები, თუმცა, ბუნებრივია, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ეს საკმარისი არ არის.

გამოკითხულთა 92 %-მა ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად დაასახელა ასევე არსებული საგადასახადო საკანონმდებლო ბაზა.

ზოგადად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საოჯახო ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ფასის და ხარისხის შეუსაბამობაა, რაც ხშირად მომსახურების მიმწოდებლების არასათანადო კვალიფიკაციითაც არის განპირობებული.

2016 წელს საქართველოში ტურისტთა განსაკუთრებით დიდ ოდენობას ელიან. ამ მოლოდინს, ზემოთ უკვე ნახსენები ფაქტორების გარდა, ის მასშტაბური სარეკლამო კამპანიაც კვებავს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის საზღვრებს გარეთ მართავს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ერთია ტურისტის საქართველომდე ჩამოყვანა და მეორე ის, თუ რამდენად მზად დახვდება მათ ქვეყანა.

ნინო ევგენიძე

აგლაძის ქუჩა თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოეწყობა

დიდუბის რაიონში აგლაძის ქუჩაზე გზის კაპიტალური რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ვიცე-მერ ლაშა აბაშიძესთან, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროს გივი კუბლაშვილთან, დიდუბის რაიონის გამგებელ ირმა ზავრადაშვილთან და საკრებულოს დეპუტატ ლადო ძნელაძესთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის მიხედვით, აგლაძის ქუჩაზე ამორტიზებული სანიაღვრე სისტემის გამოცვლა და დაზიანებული გზის საფარის დემონტაჟი მიმდინარეობს, პარალელურად მზადდება საფუძველი ასფალტის ახალი საფარის დასაგებად. პროექტის მიხედვით ეწყობა ახალი ბორდიურები.

დავით ნარმანიას თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ აგლაძის ქუჩა თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

„წლების განმავლობაში აქ პრობლემა იყო არა მხოლოდ გზა, არამედ, მოუწესრიგებელი მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელები. ახლა ქუჩა კაპიტალურად კეთდება, მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, გამოიცვლება წყლის მილი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი კომპონენტია გზის ხარისხი, რადგან აქ საკმოდ ბევრი მოსახლე ცხოვრობს, არის სამრეწველო ობიექტები და ბაზრობა, მოძრაობს ფართოგაბარიტიანი ტრანსპორტი. რეაბილიტაციის შემდეგ ეს გზა მაღალი ხარისხის იქნება“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

საგზაო სამუშაოებს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ აწარმოებს. პროექტი მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და ივნისის ბოლოს დასრულდება.

გვეშველება რამე?!

„პროვინციალიზმით შეპყრობილია ყველა, ვისაც მართლა გულწრფელად სჯერა, რომ საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია; რომ საქართველოს გაბრწყინება, რუსეთის დაბნელებაზე ჰკიდია; რომ მიშა მაგარია და თურქი საქართველოს ისტორიული მეგობარია...“

რა მოსწრებულად, სხარტად არის ნათქვამი ცნობილი ჟურნალისტის თეიმურაზ ქორიძის მიერ სტატიაში „PROVINCIA“, რომელიც ა.წ. 18 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ოჰ, ეს თანამდევი პროვინციალიზმი!

ავტორი სხვა დამაფიქრებელ, კრიტიკულ ფაქტებზეც წერს, მაგრამ ეშველება რამე მართლაცდა პროვინციულად მოაზროვნე საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს? ალბათ, ნაკლებად, ვინაიდან ჩაბეტონებული პროვინციული აზროვნების შეცვლა, მითუმეტეს ამოძირკვა ბევრ რამეზეა დამოკიდებული – უპირველესად სწორ აღზრდაზე, განათლებაზე, შესაბამის გარემოზე.

ქართულ აზროვნებას თავისი „მზრუნველი“ ხელი დაატყო 25-წლიანმა „დამოუკიდებლობამ“, ძველის სწრაფმა ცვლამ, დასავლურმა ფინანსებმა და პროპაგანდამ. პროვინციალიზმი, ერთი შეხედვით უმტკივნეულო მოვლენა, მტკივნეულად ექცა ქვეყანას და მისი ყოფნა-არყოფნის არასასურველი პერსპექტივა წარმოგვიჩინა.

პროვინციალიზმი რა კავშირშია ქვეყნის ყოფნა-არყოფნასთანო – მკითხავს მავანი. შუაში კი არა, თავშია და თუ დროულად არ დავამარცხეთ ის, ქვეყანა დამარცხდება.

პროვინციალიზმთან ბრძოლა ურთულესი საქმეა, მითუმეტეს საზოგადოებაში, სადაც ღრმად აქვს მას ფესვი გამდგარი. ყველგან უწიგნურება, ზერელეობა, თავხედობა, ბრიყვული თვითდაჯერება, არაპროფესიონალიზმი სუფევს ბიზნესში, ხელისუფლებაში, პოლიტიკაში, კულტურაში.

როდესაც ყმაწვილი, უცხოეთის რომელიღაც უნივერსიტეტის ხანმოკლე „სწავლას“ ნაზიარები, ვიღაც აქაური გავლენიანი ნათესავის მიერ აღმოჩენილი და რეკომენდაციაგაწეული, დიდი „ხვეწნა-მუდარის“ შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებული (ვითომცდა მხსნელად), კაბინეტში, დიპლომს მიაბამს კედელს – პირწმინდა პროვინციალიზმია, ისე, როგორც აფთიაქების კედლებზე ჩამოკიდებული უცხოური სერტიფიკატები, რომლებიც ვერ შველიან ჩვენს ავადმყოფებს..

პროვინციალიზმია, როდესაც ერთი თვის განმავლობაში, განუწყვეტელ რეჟიმში, მედია ტვინს უბურღავს დამშეულ, სოციალური გაუსაძლისობით დამძიმებულ ხალხს ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებული ამბებით. პროვინციალიზმია, როდესაც პოლიტიკოსები ერთმანეთს უმტკიცებენ, ვინ მეტი ევროატლანტელია. პროვინციულობაა დავით ბერძენიშვილის განცხადება ევროატლანტიკური ორიენტაციის „ყველაზე წარმატებული მინისტრის“, თანაპარტიელი თინა ხიდაშელის დასაცავად ნათქვამი...

პროვინციალიზმია, როდესაც „ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა კუდით ქვას ასროლინებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ქადაგიძეს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის გამო. არადა, რაც მან თქვა სიმართლე იყო და ლანძღვის ნაცვლად დაფიქრებას მოითხოვდა.

რაც ლარის „ავადმყოფობა“ დაიწყო, იმ დღიდან ამბობს ქადაგიძე – ტურიზმის გაზრდაა საჭიროო, რისთვისაც ხელისუფლების მიერ შემოღებული მკაცრი სავიზო რეჟიმი უნდა გაუქმდესო. 100 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა ბიუჯეტს ირანთან და ჩინეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებამო. შეცდა? მოგვატყუა? მაშ, რატომ აკრიტიკებენ პროვინციელები? უბრალოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ის „ნაცებმა“ მოიყვანეს, თორემ „ოცნებელი“ რომ ყოფილიყო, ხმას არვინ გასცემდა.

გასცა ვინმემ ხმა ბუნების მოჭირნახულე მინისტრ აგულაშვილს იმ „ფილოსოფიური“ წიაღსვლების გამო, რასაც ხის „ა“ წერტილიდან „ბ“ წერტილში გადარგვა ჰქვია. უკეთეს „სიბრძნეს“ ვერვინ იტყოდა. მან თქვა, ვინაიდან იძულებული იყო ეთქვა. სიმართლე რომ ეთქვა, საკუთარი კოალიციის შემქმნელს უნდა დაპირისპირებოდა. ვერ გარისკა.

ბუნების დამცველმა, ნაცვლად დაცვისა, „ა“ და „ბ“ წერტილები მოიგონა და ლამის 200-წლიანი ხის გადარგვა კანონზომიერად ჩათვალა. საინტერესოა, ოპოზიციაში რომ ყოფილიყო, იგივე „ფილოსოფიით“ გამოვიდოდა?

პროვინციალიზმის აშკარა გამოხატულობა იყო რადიო „მაესტროს“ ეთერში ამ თემასთან დაკავშირებული რესპონდენტების პასუხები – რა მოხდა, ხომ არ ჭრის, გადარგავსო. ამ კაცმა კეთილი საქმეები აკეთა და 2 ხეს ვამადლითო?

ბუნების, მწვანე ნარგავების განადგურების პროცესი დღესაც გრძელდება, რისი დასტურია ვაკის პარკის გაყოლებაზე საელჩოებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. პროვინციალიზმმა იცის ეს. პროვინციელთა მიერ პოლიტიკის დაპყრობამ.

ხელისუფლებაში მოკალათებული პროვინციალიზმი რომ გზას უკეტავს საღ აზრს, ფაქტია. პროვინციალიზმია ძველ თბილისში ფეხით მოსიარულეთა ხიდის გადება, ორი რკინის გაუგებარი ნაგებობის ჩათხრა, გმირთა მოედნის შუაგულში უგემოვნო მემორიალის აღმართვა, სასტუმრო „რედისონთან“ ველოსიპედის ქანდაკების დადგმა, დავით აღმაშენებლის ძეგლის განდევნა და ველოსიპედის „ძეგლის“ მოპირდაპირე მხარეს მინის უსახური შენობის აგება.

ხელისუფლებაში მოკალათებული პროვინციალიზმი რომ გზას უკეტავს საღ აზრს, ფაქტია. პროვინციალიზმია ძველ თბილისში ფეხით მოსიარულეთა ხიდის გადება, ორი რკინის გაუგებარი ნაგებობის ჩათხრა, გმირთა მოედნის შუაგულში უგემოვნო მემორიალის აღმართვა, სასტუმრო „რედისონთან“ ველოსიპედის ქანდაკების დადგმა, დავით აღმაშენებლის ძეგლის განდევნა და ველოსიპედის „ძეგლის“ მოპირდაპირე მხარეს მინის უსახური შენობის აგება.

პროვინციალიზმია, როდესაც ქალაქის შუქნიშნების მუშაობის დასარეგულირებლად უცხოელებს იწვევენ და გაწეულ „სამუშაოში“ ათასობით დოლარს უხდიან. პროვინციალიზმია IBRD-ის კონფერენციის მონაწილეთათვის 60 ავტომანქანის შეძენა.

დავუბრუნდეთ უაზრო ფულის ხარჯვის თემას, რის შესახებაც ბრძანა ქადაგიძემ – სამინისტროებია შესამცირებელიო. დიახ, შესამცირებელია, ვინაიდან პარალელიზმთან გვაქვს საქმე. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, დიასპორის, შერიგების, ევროპასთან ინტეგრაციის სამინისტროები უნდა გაუქმდეს და საგარეო უწყებაში უნდა შევიდეს სამმართველოების სახით. კულტურის სამინისტრო დეპარტამენტად უნდა გადაკეთდეს, ამასთანავე, უნდა გაეზარდოს ფუნქციები. მან მუზეუმების მართვის კოორდინაცია მაინც უნდა გასწიოს.

უნდა შემცირდეს საზღვარგარეთ არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობები, განსაკუთრებით „ეგზოტიკური“ ქვეყნების ხარჯზე, რომლებთანაც საქართველოს არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური კავშირი არა აქვს.

უნდა გაუქმდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო სტრუქტურები, რომელთა არსებობას ნეგატივის გარდა, არაფერი მოაქვს – „ნამდვილ“ აფხაზებთან და ოსებთან სალაპარაკოდ ისინი არ გამოდგებიან, ვიცი, ჩემი წინადადება რისხვას გამოიწვევს მათში, მაგრამ ის პროვინციალიზმის გამოვლინება იქნება. ამ სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები ლტოლვილთა და განსახლების დეპარტამენტში (და არა სამინისტროში) უნდა გამოვიყენოთ.

პროვინციალიზმია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ორგანოები პოლიტიკური ნიშნით არსებობენ. სადამდე უნდა ვიტყუოთ თავი? პოლიტიკური ნიშანი დიალოგს ნიშნავს იმასთან, ვისთანაც პრობლემები გვაქვს და არა სირაქლემას პოზაში დგომას.

პროვინციალიზმია, როდესაც ელექტრონულ მედიაში მოკეკლუცე გოგო-ბიჭები, აქაოდა ინგლისური ისე ვიცით, ქართულში გვერევაო, ინგლისურით „ამდიდრებენ“ ქართულ ენას – „ივენთებს“ (Events-ღონისძიებები) მოგიწყობთო, გვთავაზობენ. სამწუხაროდ, ამ დაავადებით პოლიტიკოსები და ამერიკულ ფულზე გაზრდილი არასამთავრობოებიც არიან.

პროვინციალიზმია, როდესაც პატარა მაღაზიას, ანუ ქართულად „მარკეტს“, ინგლისურთან ერთად ქართულასოებიანი წარწერა ამშვენებს – „იოურ ვაინ“, „პეთს ქორნერ“ და სხვა.

პროვინციალიზმია იმის მტკიცება, რომ ევროპაში „ვბრუნდებით“. დაბრუნება ნიშნავს იმას, რომ იქ ვიყავით და ვბრუნდებით, მაგრამ რომ არ ვყოფილვართ?

პროვინციალიზმია გრცხვენოდეს შენი წარმომავლობის, მიწის, სადაც გაჩნდი და ფეხი აიდგი და ნაცვლად იმისა, მას სცე პატივი, სხვას ეთაყვანები. ჩვენ გვრცხვენია იმ გეოგრაფიული მდებარეობისა, სადაც დავიბადეთ და ნაცვლად ევროპელობას ვიჩემებთ. ადამიანს, რომელსაც თავისი არ უყვარს, ვერც სხვისას შეიყვარებს.

პროვინციალიზმია მტკიცება იმისა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და გადავრჩებით. ხელის განძრევის, დიდი შრომისა და ჯაფის გარეშე ჯერ არვინ გადარჩენილა. პროვინციალიზმი იყო განცხადება, რომ „ბორჯომი“ და ღვინო გადაგვარჩენს. გადაგვარჩინა?!

პროვინციალიზმმა, ხელისუფლებაში ღრმად ფეხგადგმულმა გადაგვადგმევინა საბედისწერო ნაბიჯები, დაგვაკარგვინა ტერიტორიები, სუვერენიტეტი და „ბედნიერი“ ევროატლანტიკური სივრცის მონად გვაქცია.

ერთი შეხედვით, თითქოს უწყინარი პროვინციალიზმი ერის გარკვეული ნაწილის სერიოზული პრობლემაა, რომელმაც მძიმე შედეგები მოგვიტანა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

მეწარმეები სახელმწიფოს მოგების წილს უმალავდნენ

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, საქართველოს მასშტაბით სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული მორიგი დანაშაულებრივი სქემა გამოავლინა. კერძოდ, სახელმწიფოს წინაშე არსებული მილიონობით ლარის საგადასახადო ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით, მოჩვენებითი გარიგებით, ქონების გადამალვის ფაქტზე, ათეულობით საწარმოს 13 ხელმძღვანელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა; რომ თბილისსა და სხვადასხვა რეგიონებში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტის მიერ, არსებული საგადასახადო ვალდებულების და საგადასახადო კონტროლის ღონისძიების – ინვენტარიზაციის შედეგად დარიცხული ჯარიმების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, სისტემატურად ხდებოდა ახალი საწარმოების რეგისტრაცია მათი ოჯახის წევრებზე და სხვა მათთან დაკავშირებული პირების სახელზე, რის შემდეგადაც, დაჯარიმებული საწარმოების ხელმძღვანელები ახლადდაფუძნებული საწარმოებით აგრძელებდნენ იმავე ბიზნესსაქმიანობას და საგადასახადო ვალდებულებებისათვის თავის არიდების მიზნით, საწარმოებზე მოჩვენებითი გარიგებით საქონლის გადაწერის გზით ახორციელებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების გადამალვას, რითაც სახელმწიფოს მოუსპეს შესაძლებლობა ბიუჯეტში მიმართულიყო ჯარიმის სახით დარიცხული თანხა. უკვე გამოვლენილია აღნიშნული გზით საწარმოების ხელმძღვანელების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული 1 880 000 ლარის ოდენობის ზიანი. ინტენსიურად გრძელდება გამოძება სხვა საწარმოების ხელმძღვანელი პირების დადგენა-მხილების მიზნით, რომლებიც ანალოგიური სქემით აყენებენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზიანს სახელმწიფო ბიუჯეტს.

◎ ᲝᲛᲘ ᲙᲐᲠᲡᲐᲐ ᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲚᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ და თურქეთს შორის ომის რისკზე საუბრობს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უფროსი ფედერიკა მოგერინი.

„მე არ ვფიქრობ ცივ ომზე, არა, არამედ — დიდ რისკზე ცხელი ომისა, რომელიც არა აუცილებლად რუსეთსა და ამერიკას შორის, არამედ რუსეთსა და თურქეთს შორის შეიძლება დაიწყოს. ჩვენ, როგორც ევროპელები, ვალდებული ვართ ყველაფერი გავაკეთოთ დაძაბულობის შესამცირებლად“, — აცხადებს **ᲤᲔᲓᲔᲠᲘᲙᲐ ᲛᲝᲒᲔᲠᲘᲜᲘ.**

ორ ქვეყანას შორის ომის საფრთხეზე საუბრობს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲚᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რომლის განცხადებით, მოგერინის პოზიცია გამოსატავს დასავლეთის მზარდ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნაბიჯები, რომელიც კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად იდგმევა, შესაძლოა, რეალური შედეგების მომტანი არ აღმოჩნდეს.

რამდენად მოახერხებს ევროპა რეგიონში დაძაბულობის განმუხტვას და რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება ითვალისწინებს თუ არა ნატოს ჩართულობას? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲚᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ესაუბრა.

— „მე არ ვსაუბრობ ცივ ომზე, ეს ცხელი ომი იქნება რუსეთსა და თურქეთს შორის“, — ფედერიკა მოგერინის ეს განცხადება ადასტურებს, რომ ორ ქვეყანას შორის ომის დაწყების საფრთხე რეალურია?

— დაპირისპირება, ალბათ, გაგრძელდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამგვარი სამხედრო დაპირისპირება გარდაუვალია. თუმცა, არც იმას ნიშნავს, რომ ეს გამორიცხულია. როგორ განვითარდება მოვლენები, ამაზე საუბარი ცოტა ადრეა — მინიმუმ რამდენიმე დღე მაინც არის საჭირო.

— თურქეთის პოზიცია უკვე ცნობილია, ერდოღანის განცხადებით მხარს დაუჭერენ სამშვიდობო პროცესს, მაგრამ თუკი ქურთთა მოძრაობა აგრესიულ ნაბიჯებს გადადგამს თურქეთის წინააღმდეგ და აქ იგულისხმება ტერორისტული აქტი, მაშინ ადეკვატური პასუხის გაცემით იმუქრება ერდოღანი...

— ნამდვილად, ერდოღანის ეს განცხადება ლოგიკას მოკლებული არ არის, რადგან ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო გულგრილი ვერ დარჩება. აი, ასეთი სამწუხარო, მარტივად წარმოსადგენი და გასახსნელი კვანძი შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ სირიის სცენაზე წამყვან მოთამაშეებს საკუთარი და ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებული ინტერესები აქვთ.

ვიცით, რომ დაპირისპირება თურქეთისა და ცალკეული ქურთულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, სამხედრო კონფრონტაციის სახეს ატარებს. ეს ყველაფერი კი, უკვე სამარი მოქმედებაა. მაგრამ ეს ყველაფერი არ გადაიზარდოს სრულმასშტაბიან დაპირისპირებაში, თუნდაც სირიის ტერიტორიზე ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგანაც ერთი ნატოს წევრია, ხოლო მეორე ბირთვული არსენალის მფლობელი სახელმწიფო, ეს საფრთხე არის ახლა თავიდან ასაცილებელი.

— ბატონო ირაკლი, სირია შეიძლება განვიხილოთ როგორც რისკის ზონა მასშტაბური საომარი მოქმედების დაწყებისა?

— არ მგონია, რომ ამ შეკითხვას ვინმემ უარყოფითად უპასუხოს. დიახ, ამგვარი რისკი არსებობს. ევროპა ცდილობს ამგვარი სცენარის თავიდან აცილებას. სამწუხაროდ, სირია პოლიტიკური დაძაბულობის კონცენტრაციის წერტილი გახლავთ.

— რამდენად მოახერხებს ევროპა რეგიონში დაძაბულობის განმუხტვას? მოგერინის განცხადებით, ევროპელები ვალდებული არიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ დაძაბულობა განიმუხტოს ამ რეგიონში. ფაქტია ისიც, რომ თუკი საომარი მოქმედების საფრთხის პირისპირ დადგება რუსეთი და თურქეთი, ამას გაცილებით მძიმე შედეგი ექნება მსოფლიოსთვის...

— აბსოლუტურად სწორად დასმული კითხვაა და პასუხიც ერთმნიშვნელოვანია, ამ პროცესში ჩართულმა ყველა მონაწილემ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა მოვლენები ამგვარი კატასტროფული სცენარით არ განვითარდეს და ეს ეხება ევროპელებსაც. იმიტომ, რომ ევროპის სახელმწიფოები უშუალოდ მონაწილეობენ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ აქციაში. ის ნაბიჯები, რომელსაც ამ წუთებში დგას რუსეთი, არა მხოლოდ აშშ-ს და თურქეთის ინტერესებს უპირისპირდება, არამედ უპირისპირდება დასავლეთის ინტერესებს და მათ შორის — ევროპული სახელმწიფოებისას.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის ინტერესებში შედის ის ვითარება, რაც შექმნილია სირიაში და მით უფრო, რომ მსოფლიო ლიდერები ღიად ადანაშაულებენ რუსეთს ქურთული ავტონომიის ლობირებაში, ამ ვითარებაში რუსეთს აწყობს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება?

— როგორც დამკვირვებლები აფასებენ, რუსეთს აქვს თავისი ინტერესები და ამერიკულ მხარესთან შეთანხმებით, რუსეთი თავისი ინტერესების რეალიზაციას ცდილობს, არ აპირებს თავისი ინტერესების დათმობას. პირველი — მას მიაჩნია, რომ შეიძლება გაუჩნდეს შანსი, გადაარჩინოს ასადის ხელისუფლება, თუ თვითონ პრეზიდენტი არა, მისი გარემოცვა მაინც. მეორე — მას სურს შეინარჩუნოს ის პოზიციები, რომელიც რუსეთმა აღიდგინა ამ ომის პირობებში, სამხედრო ბაზები, საკუთარი შეიარაღებული ძალების განლაგება. და მესამე — „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი წამყვანი ძალის, ქურთების სამხედრო მოძრაობის მხარდამჭერად მოგვევლინოს — ეს არის მინიმალური ნაკრები იმ ინტერესებისა, რომელიც რუსულ მხარეს გააჩნია სირიის ტერიტორაზე იმ საკითხებთან ერთად, რაც თქვენ ბრძანეთ და ეს არის უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის შედეგად სერიოზულად შელახული საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება და საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის მცდელობა. ესეც რუსეთის ინტერესებშია და სწორედ, სირიის ფრონტზე ცდილობს ამ ინტერესების მიღწევას. ეს ყველაფერი ნათლად გამოჩნდა. აქ ყველა მხარე და მათ შორის რუსეთი, თავისი ინტერესების რეალიზაციას აპირებს.

— რუსეთ-თურქეთის ომის დაწყება ითვალისწინებს ნატოს ჩართულობას ამ კონფლიქტში?

— თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა და მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შემთხვევაში, ნატო უმოქმედოდ ვერ დარჩება. სერიოზული წინააღმდეგობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, მნიშვნელოვანია შეთანხმების მიღწევა. ეს ის შანსია, რომლის რეალიზაცია ყველა კეთილი ნების ადამიანს სურს. თუმცა, ამერიკულმა მხარემ უკვე განაცხადა, რომ არსებობს ე.წ. გეგმა „ბე“, ანუ სარეზერვო გეგმა, როდესაც საქმე ასეთ რთული კონფიგურაციის დაპირისპირებას ეხება, სერიოზული მოთამაშეები ჩვეულებრივად ერთცვლიანი მოქმედებით არ იზღუდებიან ხოლმე. რადგან არსებობს ეს შეთანხმება და მოწოდება, სასურველია, რომ შანსი ხელიდან არ გაუშვან მათ, ვისაც ეს ეხებათ.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲨᲘ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲨᲔᲯᲐᲙᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

წინა დღით ლტოლვილების ბანაკში კალეში ჩავიდნენ მუშები სპეციალური ტექნიკით, რომლებმაც დაიწყეს მიგრანტების დროებითი საცხოვრებლების ნგრევა. ამ უკანასკნელებმა აქტივისტების მხარდაჭერით საპასუხოდ მოაწყვეს უწესრიგობანი, ადგილზე მოსულ პოლიციელებს კი დაუშინეს ქვები და ასაფეთქებელი საგნები.

ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲒᲕᲞᲘᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ 25 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ

როდესაც ტოლერანტობაზე საუბრობდა, ნურსულთან ნაზარბაევმა განაცხადა, რომ ყაზახეთი დღეს არის „უნიკალური ქვეყანა, სადაც მშვიდობასა და თანხმობაში ცხოვრობენ 100-ზე მეტი ეთნოსისა და 17 კონფესიის წარმომადგენლები“. მან აღნიშნა, რომ, რასაკვირველია, „არ არის ოჯახი მახინჯის გარეშე, ყველაფერი ხდება“, „მაგრამ საყოფაცხოვრებო პირობებზე ყურადღება არ უნდა გავამახვილოთ“, — დაასკვნა პრეზიდენტმა.

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲙᲔᲜᲭᲡ ᲣᲧᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔ�გ

კენჭისყრა რეზოლუციაზე სანქციების გაფართოების შესახებ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან გაიმართა 1 მარტს. რეზოლუციის პროექტის წარმომდგენმა, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან სამანტა პაუერმა განაცხადა, რომ სანქციები იქნება ყველაზე მკაცრი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

ᲑᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ, ᲛᲝᲘᲛᲐᲠᲐᲒᲝᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ!..

ასეთი პროგნოზი ემომალი რახმონმა გააკეთა ქვეყნის მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, მან შეკრებილებს შეახსენა მცირეთოვლიანი ზამთრისა და გაზაფხულის ადრე დადგომის შესახებ, გააფრთხილა ისინი გვალვისა და მცირეწყლიანობის ალბათობის შესახებ.

ᲐᲨᲨ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲒᲐᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

უწინარეს ყოვლისა, ამერიკელები უნდა ერიდონ მგზავრობას ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით სირიასთან საზღვრისპირა რაიონებზე. ამას გარდა, ტერორისტული საფრთხის ზრდის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს მოუწოდებენ გამოიჩინონ სიფხიზლე მთელ თურქეთში მოგზაურობის დროს.

ᲙᲔᲠᲘᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲛᲝᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲡ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

კერის სიტყვებით, მოსკოვმა და ვაშინგტონმა შეუთანხმეს ერთმანეთს სისტემის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვიქონიოთ გარანტია, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები და კოალიციები განახორციელებენ მისიებს მხოლოდ ტერორისტული დაჯგუფებების „ჯეიხატანნუსრა“ ან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.

საქმე №1/167-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 29 თებერვალი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ზურაბ კეკელია, დავით წირქვაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 28 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ზურაბ კეკელიასა და დავით წირქვაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 7 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა” და ზურაბ კეკელიას შორის დაიდო №081413534 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 4000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე. ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაადვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის დავით წირქვაძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით.

2014 წლის 7 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა” და დავით წირქვაძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაედო დავით წირქვაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ზურაბ კეკელიას სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არცხოვრების გამო.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე დავით წირქვაძეს ოთხჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ, ისე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ზურაბ კეკელიასა და დავით წირქვაძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ზურაბ კეკელია და დავით წირქვაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობენ, ხოლო მათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ზურაბ კეკელიას (პირადი №01017008504) და დავით წირქვაძეს (პირადი №01026012236) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ზურაბ კეკელიასა და დავით წირქვაძის მიმართ.

10. ზურაბ კეკელიასა და დავით წირქვაძეს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ზურაბ კეკელიასა და დავით წირქვაძეს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 21 მარტს 11:00 საათზე შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ზურაბ კეკელიასა და დავით წირქვაძის მიმართ.

13. ზურაბ კეკელიასა და დავით წირქვაძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/184-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 16 თებერვალი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: კახაბერ ქირია, გრიგოლ ბაქრაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 20 ნოემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე კახაბერ ქირიასა და გრიგოლ ბაქრაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 10 ოქტომბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და კახაბერ ქირიას შორის დაიდო №101391818 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 2700 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – გრაფიკით განსაზღვრული შემოსატანი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის გრიგოლ ბაქრაძის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე კახაბერ ქირიას ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გრიგოლ ბაქრაძეს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე კახაბერ ქირიასა და გრიგოლ ბაქრაძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე კახაბერ ქირიას და გრიგოლ ბაქრაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობენ, ხოლო მიათი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე კახაბერ ქირიას (პირადი №19001018550) და გრიგოლ ბაქრაძეს (პირადი №20001007016) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით კახაბერ ქირიასა და გრიგოლ ბაქრაძის მიმართ.

2. კახაბერ ქირიასა და გრიგოლ ბაქრაძეს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

3. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე კახაბერ ქირიასა და გრიგოლ ბაქრაძეს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 21 მარტს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით კახაბერ ქირიასა და გრიგოლ ბაქრაძის მიმართ.

5. კახაბერ ქირიასა და გრიგოლ ბაქრაძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◉ ჭიდაობა

უხვი ნადავლით — ბულგარეთიდან



23 მედალი — ასეთი ალაფით დაბრუნდნენ საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 23-წლამდელები სოფიიდან, სადაც პეტკო სირაკოვისა და ივან ილიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირები გაიმართა. „თავისუფლებმა" 7 ოქროს, 4 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თეიმურაზ ვანიშვილი (57), შოთა ფარტენაძე (61), გიორგი ბრეგაძე (65), დავით ბუზიაშვილი (70), ტარიელ გაფრინდაშვილი (74), მექი სიმონია (86) და როლანდ ანდრიაძე (97). მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ გიორგი ლონიაშვილი (50), ლევან მურცხვალაძე (57), ივერი ჯულაყიძე (65) და ნიკა კენჭაძე (74), თანაც 57 და 65 კილოგრამ წონით კატეგორიებში ქართული ფინალები გაიმართა. გიორგი ხაჩიძეს (50), გიორგი სულავას (65), შმაგი თოდუას (65), ლაშა გიგაშვილსა (74) და ზურიკო ურთაშვილს (125) ბრინჯაოს მედლები ერგოთ (მწვრთნელები - ოთარ თუშიშვილი, გოჩა კირკიტაძე, დავით ოთიაშვილი და კობა კაკალაძე).

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან (მწვრთნელები - ზაზა ჯიბლაძე და ვაჟა ბოძაშვილი) ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ხვიჩა ჭითავა (59), გელა ბოლქვაძე (80), კუკური კირცხალია (98) და ბექა კანდელაკი (130), მეორე ადგილზე გავიდა ბაკურ გოგოლი (71), ხოლო გიზო მელაძემ (59) და ნიკა გავაშელმა (80) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ტურნირის საუკეთესო მოჭიდავეებად თავისუფალში გიორგი ბრეგაძე (65), ბერძნულ-რომაულში კი ხვიჩა ჭითავა (59) დაასახელეს.

ლექსო ცინცაძე

◉ პლაჟის ხელბურთი

ჭაბუკთა მეტოქეები ცნობილია

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა პლაჟის ხელბურთში თექვსმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა. წლეულს 8-10 ივლისს ამ შეჯიბრებას პორტუგალიის ქალაქი ნაზარე უმასპინძლებს. მედლებისთვის 16 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოლებენ. ისინი ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ. წილისყრის წინ საქართველოს ნაკრები განთესილ 8 გუნდს შორის მოხვდა, რადგან 2015 წელს ცხრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენებმა მერვე ადგილი დაიკავეს.

A **ჯგუფი:** პორტუგალია, საქართველო, საბერძნეთი, სლოვაკეთი.

B **ჯგუფი:** შვეიცარია, რუსეთი, ჰოლანდია, ბულგარეთი.

C **ჯგუფი:** ესპანეთი, რუმინეთი, პოლონეთი, უკრაინა.

D **ჯგუფი:** უნგრეთი, ხორვატეთი, გერმანია, იტალია.

თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო მეოთხედფინალში გადის, იქ გამარჯვება კი 2017 წლის ჩვიდმეტწლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას ნიშნავს, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის სამეულში მოხვედრა არგენტინაში 2018 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების საგზურს იძლევა. ახალგაზრდების ოლიმპიადის პროგრამაში კლასიკურის ნაცვლად ქვიშის ხელბურთი იქნება შეტანილი.

გივი გაგუა

◉ ჩოგბურთი

პირველი ზონის ორი საგზურისთვის

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებმა შარშან დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მე-2 ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. წლეულს აქ 16 გუნდი იბრძოლებს პირველ ჯგუფში დასაწინაურებლად. სტარტზე ქართველი ჩოგბურთელები 4-6 მარტს თბილისის სპორტის ახალ სასახლეში დანიელებს უმასპინძლებენ. გუნდები ასეთი შემადგენლობებით იასპარეზებენ: საქართველო — **ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე, გიორგი ჯავახიშვილი, ირაკლი მეტრეველი (დევისის თასზე იგი პირველად იასპარეზებს), გუნდის კაპიტანი ვლადიმერ გაბრიჩიძე.** დანია — **ფრედერიკ ნილსენი, ბენჟამინ ჰანსესტადი, ტომას კრომანი, კრისტინ სიესგაარდი, კაპიტანი კენეტ კარლსენი.** შეხვედრის ოფიციალური წილისყრა 3 მარტს ჩატარდება. 4 მარტს 13 საათიდან ერთეულთა ორი შეხვედრა გაიმართება, 5 მარტს წყვილები (15:00), 6-ში კი ისევ ერთეულები (13:00) ითამაშებენ.

დანიასთან წარმატების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები მე-2 წრეში ზიმბაბვე-ფინეთს შორის გამარჯვებულს უმასპინძლებს.

თამაზ პატარაია

◉ ლეგიონერი

სანაძე კვირის მოთამაშედ აღიარეს

საქართველოს ეროვნული ნაკრების და „სან დიეგო ტორეროზის" წევრი დუდა სანაძე აშშ-ის სტუდენტური ლიგის ვესტ ქოუსტის დივიზიონის გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

შეგახსენებთ, რომ დუდამ „პორტლენდთან" კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 38 ქულა ჩააგდო, მანამდე კი ლიდერ „გონზაგასთან" 11 ქულა მიითვალა.

კვირის განმავლობაში სანაძის საშუალო მონაგარი 24.5 ქულა და 5.5 მოხსნა იყო. ამასთან, მან 32-დან 15 ორქულიანი, 13-დან 8 სამქულიანი და 13-დან 11 საჯარიმო ჩააგდო.

ვიტალი ჯაფარიძე

◉ ერთგულება

„რომას" ტოტი არ ეთმობა

იტალიური „რომას" ლეგენდა ფრანჩესკო ტოტი გუნდში რჩება. როგორც რომაული კლუბის პრეზიდენტმა ჯეიმს პალოტამ აპენინურ მედიას უთხრა, ტოტი უახლოეს ხანებში „ჯალოროსისთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

„რაც რომში ჩამოვედი, ფრანჩესკოსთან შესახვედრად ვერ მოვიცალე, მაგრამ იგი ჩვენთან რჩება. კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება? — ხუთი ან ათი წლით რატომ არა? — მე მიყვარს ფრანჩესკო, ყველამ იცის, რომ დიდი ფეხბურთელია. მის მომავალს „რომაში" ძალიან დიდი ხნით ვხედავ", — თქვა „მგლების" 57 წლის პრეზიდენტმა.

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში ტოტისა და „რომას" შორის ურთიერთობის დაძაბვის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია და ისიც ითქვა, 39 წლის თავდამსხმელი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებსო. ფრანჩესკოს „რომასთან" ამჟამინდელი ხელშეკრულება დამდეგ ზაფხულს უსრულდება.

გიორგი შოთაძე

◉ ცურვა

მედლები სტუმრებსაც ერგოთ

საქართველოს მოცურავეთა ნაკრების წევრები — ირაკლი რევიშვილი, თეიმურაზ კობახიძე, გიორგი ბიგანიშვილი და აკაკი ვაშაკიძე მთავარი მწვრთნელის - ზურაბ ხომასურიძის ხელმძღვანელობით ამჟამად სომხურ წახკაძორში იმყოფებიან და რიოს სალიცენზიო ტურნირებისთვის ემზადებიან. ნაკრების ორი წევრი უცხოეთშია: ირაკლი ბოლქვაძე ავსტრიაში ვარჯიშობს ცნობილ მწვრთნელ დირკ ლანგესთან, ხოლო დავით სიხარულიძე უნგრეთში კეროუ ბუტლერის მეთვალყურეობით იმაღლებს ოსტატობას. ამ საპატიო მიზეზებით წამყვანი სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატში, რომელსაც საცურაო კომპლექსმა „ოლიმპიკმა" უმასპინძლა და მასპინძლებთან ერთად უკრაინელი და აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

კარგი შედეგები აჩვენეს დავით ბოკერიამ (100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი), ლევან ბახტურიძემ (50 მეტრზე ბრასით-29,97), მერი მუმლაძემ (200 მეტრზე ბრასით — 2.39,91) და რუსუდან გოგინაშვილმა (50 მეტრზე გულაღმა ცურვაში-32,10). აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთმა მოცურავემ რამდენიმე დისციპლინაში დაიკავა პირველი ადგილი. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას:

ქალები.

ბრასი. 50 მ. მერი მუმლაძე („ტონუსი", 33,97), **100 მ.** მერი მუმლაძე (1.15,14), **200 მ.** მერი მუმლაძე (2.39,93).

ბატერფლაი. 50 მ. თაკო მჭედლიძე („არენა", 32,42), **100 მ.** თიკო კევლიშვილი („არენ",1.12,61), **200 მ.** ნინო ხუტუნიშვილი (ჭიათურა, 2.57,17).

თავისუფალი ყაიდა. 50 მ. ელენე ბერაია („ტონუსი", 28,19), **100 მ.** ელენე ბერაია (1.02,30), **200 მ**. ელენე ბერაია (2.16,89), **400 მ.** თიკო კევლიშვილი (4.59,86), **800 მ.** თიკო კევლიშვილი (10.18,47), **1500 მ.** ქრისტინე ჭიტაძე (საჩხერე, 24.31,07). **4x100 მ.** 1. „ტონუსი" (4.36,34), 2. „გლდანი" (4.51,97), 3. „დიღომი" (5.22,44).

გულაღმა ცურვა. 50 მ. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 32,83), **100 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (1.10,16), **200 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (2.34,53).

კომპლექსური. 200 მ. ელზა ქაჩლიშვილი (უკრაინა, 2.36,43).

4x100 მ. კომბინირებული. 1. „ტონუსი" (5.00,14), 2. „გლდანი" (5.28,81), 3. ჭიათურა (5.29,96).

ვაჟები

ბრასი. 50 მ. ლევან ბახტურიძე (საჩხერე, 30.05), **100 მ.** ლევან ბახტურიძე (1.08,07), **200 მ.** ლევან ბახტურიძე (2.33,66).

ბატერფლაი. 50 მ. ქამრან ჯაფაროვი (ბაქო, 27,21), **100 მ.** ლუკა პატარაია (რუსთავი, 1.03,06), **200 მ.** ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი", 2.15,15).

თავისუფალი ყაიდა. 50 მ. საბა მდივანი („ტონუსი", 25,14), **100 მ.** ჯუდერ ბიჭიკაშვილი (რუსთავი, 54,65), **200 მ.** ირაკლი კვარაცხელია (1.59,50), **400 მ.** ირაკლი კვარაცხელია (4.16,82), 800 მ. ირაკლი კვარაცხელია (9.02,30), **1500 მ.** ირაკლი კვარაცხელია (18.51,98), **4x100 მ.** 1. „ტონუსი" (1.46,34), 2. „გლდანი" (1.49,10), 3. „დიღომი" (1.55,95).

გულაღმა ცურვა. 50 მ. გიორგი ჩიქობავა („ტონუსი", 29,87), **100 მ.** გიორგი ჩიქობავა (1.04,87), **200 მ.** ნაზირ ისმაილოვი (ბაქო, 2.27,71).

კომპლექსური. 200 მ. ვლადიმერ გურგენიძე („ტონუსი", 2.34,05).

4x100 მ. კომბინირებული. 1. „ტონუსი" (4.19,09), 2. ბაქო (4.26,81), 3. „გლდანი" (4.44,43).

ლაშა დიდია

სურათზე: რუსუდან გოგინაშვილი.

◉ ინტერნეტიდან

ვალენტინას გზა რუსეთიდან პარიზამდე

დღეს კიდევ ერთ დიდებულ რუს ასულზე უნდა გიამბოთ, რომელმაც არა მხოლოდ ურუსთა ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო გადარია და ამ ასულის მიერ გადარეულთა არმია ბევრად უფრო ღირსეული, პატივსაცემი და დასაფასებელია, ვიდრე ის საძაგელი წარმონაქმნი, რასაც ჩვენ რუსულ არმიას ვეძახით.

ვალენტინა ზელიაევა დიდ პოდიუმზე ჩოგბურთიდან მივიდა. ჯერ კიდევ 5 წლის წინათ ამ გოგონას ხელში ჩოგანი ეჭირა და გამეტებით იქნევდა, თუმცა, მისმა პოპულარობამ სულ სხვა გზით განვითარება მას შემდეგ დაიწყო, რაც ჯერ რუსული, შემდეგ კი ევროპული ბულვარული ჟურნალების ყდები დაამშვენა.

„თავიდან ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩოგბურთს ასე ადვილად შეველეოდი, მაგრამ სამოდელო საქმესაც იმხელა აზარტი აქვს, რომ მივხვდი, ესეც ჩემი საქმე იყო", — სიამაყით იძახის მშვენიერი ვალენტინა, რომელმაც ამ ერთი კვირის წინათ საცხოვრებლად პარიზში გადაინაცვლა და მისი წარმატებული კარიერა, როგორც იტყვიან, ხელისგულზე დევს.

როსტომ რაჭველიშვილი

საჯარო აუქციონი

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“ აცხადებს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო აუქციონს;

აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილი იქნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №84, კერძოდ კი მიწის ორი ნაკვეთი. აუქციონი ტარდება ერთ ლოტად.

აუქციონზე გასაყიდი ქონების მახასიათებელი რეკვიზიტებია:

1) ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 1071 (ერთი ათას სამოცდათერთმეტი) კვ.მ; სარეგისტრაციო ზონა – ქ. თბილისი, კოდი 01; სექტორი: ნაძალადევი, კოდი 12; კვარტალი 01; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.12.01.003.145

2) ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 509 (ხუთას ცხრა) კვ.მ; შენობა-ნაგებობები - № 1, №2; სარეგისტრაციო ზონა – ქ. თბილისი, კოდი 01; სექტორი: ნაძალადევი, კოდი 12; კვარტალი 01; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.12.01.003.144

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, კერძოდ:

1. ყარაულის ჯიხური – 19.89კვ.მ.;
2. ავტოფარეხი – 320,57კვ.მ.

1071 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 01.12.01.003.145) საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 1კვ.მ - 20 აშშ დოლარით, ექვივალენტი ლარებში. შესაბამისად,აღნიშნული ნაკვეთის საწყისი ფასი ჯამურად განისაზღვრა 21420 (ოცდაერთი ათას ოთხას ოცი) აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში;

509კვ.მ მიწის ნაკვეთის, მასზე არსებული შენობებით (საკადასტრო კოდი 01.12.01.003.144), საწყისი სააუქციონო ფასი, განისაზღვრა 15855,00 (თხუთმეტი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) აშშ დოლარით, ექვივალენტი ლარებში,დღგ-ს ჩათვლით.

ჯამურად, აუქციონზე გამოტანილი უძრავი ქონების საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 37275,00 (ოცდაჩვიდმეტი ათას ორას სამოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს დაფიქსირებული კურსის მიხედვით;

აუქციონში მონაწილეობის შესატანი – ბე – შეადგენს 3700 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

„ბიჯის“ ოდენობაა - 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყება 2016 წლის 2 მარტს და გაგრძელდება 2016 წლის 4 მარტის ჩათვლით, ყოველდღე, 10 საათიდან 17 საათამდე სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელის“ შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-2 სართული, მარკეტინგის განყოფილება.

საჯარო აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 5 მარტს 12.00 საათზე მისამართზე, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-3 სართული, ოთახი 313.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეობის მიღების მსურველი პირის შესახებ;
ბ) ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს – სს „საქართველოს ბანკში“, სს „ელმავალმშენებლის“ საბანკო ანგარიშზე (ა№GE59BG0000000298256900);
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში)

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში) და უფლებამოსილი პირის (დირექტორის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, რომელიც არ უნდა იყოს სააუქციონო საწყის ფასზე ნაკლები.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ გაიმარჯვებს აუქციონში, მას ერთი კვირის ვადაში უკან დაუბრუნდება ბეს სახით გადახდილი თანხა. გამარჯვების შემთხვევაში კი გამარჯვებულ მონაწილეს ბე ჩაეთვლება გადასახდელი თანხის ნაწილად.

აუქციონის პირობები:

მყიდველი ვალდებულია საჯარო აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური (საბოლოო თანხა) გადაიხადოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 საბანკო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო აუქციონში გამარჯვებული დაკარგავს გადახდილ ბეს.

ქონების საჯარო აუქციონის ფორმით შესყიდვისას ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის შემდეგ, ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

ნასყიდობის პირობები დეტალურად ასახული იქნება მხარეთა შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84. საკონტაქტო პირები: ალექსი ბიგანაშვილი (მობ.: 514 30 88 33), თეა თურქია (მობ.: 555 123 183).

◎ ბავშვის ფსიქოლოგია

დამჯერობის გაკვეთილები

ყველა ერს თავისი ზნე, განსაკუთრებული მენტალიტეტი და ბავშვების აღზრდაზე საკუთარი წარმოდგენა აქვს. ზოგიერთი რამ ჩვენ, შესაძლოა, უცნაურადაც მოგვეჩვენოს და არ გავიზიაროთ, ზოგმაც შეიძლება ჩვენი ყურადღება მიიპყროს.

იაპონია

ამომავალი მზის ქვეყანაში ბავშვთა აღზრდას უდიდესი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ასაკობრივი საზღვრები მკვეთრადაა გამიჯნული და თითოეული მათგანი პატარებისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას გულისხმობს.

ხუთ წლამდე ბავშვებს ხელმწიფეებივით ეპყრობიან და რამდენიც მოესურვებათ იმდენი თამაშისა და ანცობის უფლებას აძლევენ. საბავშვო ბაღებში საგანგებო ოთახებიც კია, სადაც პატარა გოგო-ბიჭებს ფლომასტერებით კედლების მოხატვა შეუძლიათ! ამასთან იაპონელი ბავშვები არ არიან ჭირვეულნი, გამუდმებით არ ითხოვენ გართობებს, ახალ-ახალ მანქანებს თუ თოჯინებს. იქაურ პატარებს საერთოდაც ცოტა სათამაშო და სამოსელი აქვთ – **ისინი მიჩვეულნი არიან იმით დაკმაყოფილდნენ, რაც აქვთ.** ასე რომ პატარა სალახანები ხშირად უფროსი და-ძმების სამოსელში გამოწყობილები დარბიან და მათი ნაქონი ძველი სათამაშოებით იქცევენ თავს. გარდა ამისა, მშობლები ბავშვების ფანტაზიას აღვივებენ და სასეირნოდ რომ მიდიან, თან სათამაშოები არ მიაქვთ, სამაგიეროდ პატარებს იმით ასწავლიან თამაშს, რაც ხელთ აქვთ (ანუ ბუნების ნობათებით), ყველა პარკში ხომ საამისოდ უამრავი საშუალებაა!

5-დან 15 წლამდე პატარა იაპონელებს დისციპლინასა და მაქსიმალურ დამაჯერებლობას ასწავლიან, რისთვისაც უმკაცრეს ზომებს მიმართავენ. მაგრამ, იმის გამო, რომ ასეთი მიდგომა საზოგადოების ცხოვრების ნაწილია, ბავშვები მას სავსებით ნორმალურად აღიქვამენ. სხვათა შორის, იაპონიის სკოლებში სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია ბუნებით ტკბობის გაკვეთილები, როცა მასწავლებელს მთელი კლასი სკოლიდან გაჰყავს და ბავშვები ბუნებაში მიმდინარე მოვლენების აღქმას, მათ ყურის მიგდებას სწავლობენ.

დაგვეთანხმებით, დიდებული პრაქტიკაა!

15 წლის ასაკიდან მოყოლებული, მოზარდებს როგორც საზოგადოების სრულფასოვან წევრებს ისე ეპყრობიან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ **იაპონიაში მსოფლიოში დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი და ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონეა.** ეჭვი არ არის, რომ ამაში მომავალი თაობის აღზრდის მეთოდებს ღირსეული წვლილი მიუძღვით.

ამერიკის შეერთებული შტატები

სტერეოტიპი, თითქოს ამერიკელი მოქალაქეები მოხმარების საზოგადოებას ჰქმნიან, დიდწილად სიმართლეს შეესაბამება. ბევრი 4-5 წლის ბავშვი წამყვანი საბავშვო ბრენდების საქონელზე ექსპერტივით მსჯელობს, მათდამი ლტოლვას კი მშობლები ყოველმხრივ უკმაყოფილებენ. საქმე ხშირად იქამდე მიდის, რომ ზოგ სახლში სათამაშოების ტევა არ არის, ბავშვები კი მშობლებს ახლების ყიდვას სთხოვენ.

მეორე მხრივ, ამერიკელი მშობლები თავიანთ შვილებს ბავშვობიდანვე უჩიჩინებენ, რომ ისინი ყველაზე კარგები, ყველაზე ღირსეულები, ყველაზე ლამაზები არიან. **მათი მიზანია დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდა, ამიტომაც როცა ბავშვს რაიმე შეცდომა მოსდის, ისინი აუცილებლად გვერდში ამოუდგებიან და გაამხნევებენ: „ნუ დარდობ, ასეთი რამ ყველას შეიძლება მოუვიდეს! ნუ გეშინია, სცადე კიდევ ერთხელ, შენ ყველაფერი გამოგივა!“**

ჩვენში კი, დაგვეთანხმებით, შვილის წარუმატებლობის შემთხვევაში, მას მშობლებისგან ხშირად სულ სხვა სიტყვები ესმის.

შვედეთი

ამ ქვეყანაში ბავშვებს როგორც სრულფასოვან პიროვნებას ისე ეპყრობიან, რომელსაც საკუთარი უფლებები და მოვალეობები გააჩნია. **მთავარი კი, რითაც მშობლებმა ბავშვი უნდა უზრუნველყონ – ესაა უსაფრთხოება.** სწორედ ამიტომაცაა, რომ შვედეთში მიღებულია მშობლისა და შვილების ერთად ძილი: ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ როცა მშობლებს შვილებისადმი სიყვარულისა და მზრუნველობის გამოსავლენად დღის მანძილზე დრო არა აქვთ, ამის დეფიციტის შევსება ღამე შეიძლება, რადგან **მშობლებთან ძილი ბავშვს საკუთარი ძალების რწმენას ჰმატებს და მისი დამოუკიდებლობის განვითარებასაც კი უწყობს ხელს!**

საერთოდაც, შვედების აზრით, ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის მას უსაფრთხო გარემო სჭირდება.

კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება ისაა, რომ, სხვა ევროპელთა მსგავსად, შვედები ცნობილები არიან თავიანთი ტოლერანტობით: ვთქვათ, საზოგადოებაში არ არის ხისტი გამიჯვნა ჯანმრთელებსა და ხეიბრებს შორის. ამიტომაც, შეხედულებათა კატეგორიულობა იქ მიღებული არ არის, რაც ერთმანეთისადმი ლოიალობისა და კეთილგანწყობის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ინდოეთი

„სხვებთან საურთიერთობოდ საკუთარი გული უნდა გამოიყენო“ – ამ სიბრძნეს ინდოელები ბავშვების აღზრდაში აქტიურად იყენებენ და სამყაროს გულის ემოციებით აღქმას ასწავლიან. **თანაც ეს არა მარტო გარშემო მყოფ ადამიანებს, არამედ მთლიანად ბუნებას ეხება – კაცმა არა მარტო სხვა კაცს, მან არც ცხოველს, არც ფრინველს, არც მცენარეს, ქვასაც კი არ უნდა ავნოს!**

ინდუსები ბრძენი მშობლები არიან, თუმცა კი, მათი უმრავლესობა მამა და დედა ძალიან ადრეულ ასაკში ხდება: **ისინი შვილებს არასდროს უყვირიან, რითაც მათ საკუთარი ემოციების დაოკებას ასწავლიან. მშობლები შემწყნარებელნი არიან ბავშვური ანცობებისადმი, ვინაიდან მშვენივრად იციან, რომ მათ წინ განცდებით აღსავსე რთული ცხოვრება ელით.**

სკოლაში გოგო-ბიჭებს არა დაზეპირებას, არამედ დაფიქრებასა და განსჯას ასწავლიან. თანაც **ისინი აშკარად „არაბავშვურ“ თემებზე მსჯელობენ, მაგალითად, „სიკვდილისადმი დამოკიდებულება“, „დისციპლინის აუცილებლობა“ და ა.შ. სტანდარტული გაკვეთილების გარდა ინდოეთის სკოლებში ატარებენ მეხსიერების გავარჯიშებისა და... ღიმილის გაკვეთილებს.** წელიწადში ორჯერ მთელი სკოლის მოსწავლეები იმათ აქებენ, ვინც წინა თვეებთან შედარებით მეტ წარმატებას მიაღწევს.

ამდენად, ბავშვების მიმართ დამოკიდებულებაში აუარება ნიუანსია, რომელთა შორის უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, გულწრფელი სიყვარულია.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

გამორთე ტელევიზორი, იკითხე გაზეთი!

ტელევიზორის ხანგრძლივი ყურება ადამიანებს ათაყვანებს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევარები კალიფორნიის უნივერსიტეტიდან. მეცნიერები 25 წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ ადამიანთა დიდ ჯგუფს (18-დან 30 წლის ასაკამდე 3 ათასზე მეტ კაცს). ისინი იკვლევდნენ, რამდენ დროს ატარებს ადამიანი ტელევიზორის წინ და რამდენს უთმობს ფიზიკურ აქტიურობას, როგორია მისი ინტელექტის დონე. მკვლევარებს აინტერესებდათ სიტყვების დამახსოვრების უნარი, ინტელექტუალური ამოცანების გადაწყვეტის სიჩქარე და სისწორე.

გამოირკვა:

11 პროცენტი უყურებს ტელევიზორს დღეში 3 საათზე მეტი ხნის განმავლობაში – მათ ცუდი შედეგები აჩვენეს ყველა გონებრივი ტესტით, გარდა სიტყვების დამახსოვრებისა;

16 პროცენტი – კვირაში 2,5 საათზე ნაკლებ დროს უთმობს ფიზიკურ აქტივობას – ასეთები ფიქრობდნენ დუნედ, ნელა, ცუდად ართმევდნენ თავს ამოცანების გადაწყვეტას.

2-ჯერ მეტი აქვთ რისკი ინტელექტის დაქვეითებისა მათ, ვინც „მიბმულია“ ტელევიზორთან და ამ დროს მთლიანად ნელა მოძრაობს.

ჯერ კიდევ 2013 წელს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაადგინეს: კითხვა ზრდის ნერვული კავშირების რიცხვს ტვინში, რითაც ავითარებს ინტელექტს.

ასე რომ, გამორთეთ ტელევიზორი, იკითხეთ გაზეთები, ჟურნალები და წიგნები!

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში

მთავარია ხარისხი, მაშინ უცხოურსაც კი გავუწევთ კონკურენციას

აპრილის დასაწყისში ბაზარზე ქართული წარმოების ტელევიზორი გამოჩნდება

ახალი ქართული ტელევიზორის ფასი 180-დან 280 დოლარამდე იქნება. ამის შესახებ „კომერსანტს“ ქართულ-აზერბაიჯანული კომპანია „AG Telekom“-ის დირექტორმა მიხეილ ღლონტმა განუცხადა. მისი თქმით, ფასი ჯერჯერობით დოლარში აქვთ განსაზღვრული, თუმცა, პროდუქციის გამოშვების წინ მას ეროვნულ ვალუტაშიც დააფიქსირებენ.

180 დოლარი ეღირება 32-ინჩიანი(81 სმ) ტელევიზორი, 280 დოლარი კი 40-ინჩიანი(101 სმ) ტელევიზორი. მიხეილ ღლონტის ინფორმაციით, ქართული წარმოების ტელევიზორი ბაზარზე აპრილის პირველ ნახევარში გამოჩნდება. პროდუქცია ქსელურ მარკეტებში განთავსდება, მათ შორის იქნება „გორგია“, „მეტრომარტი“. მიხეილ ღლონტის ინფორმაციით, პროდუქცია განთავსდება ვაგზლის ბაზრობაზე არსებულ ქარხნის სახელობის მაღაზიაშიც.

რამდენად შეძლებს ქართული ტელევიზორი ბაზარზე დამკვიდრებას და კონკურენციის გაწევას უცხოური ბრენდებისთვის?

კომპანია „ტექნოლუქსის“ აღმასრულებელი დირექტორი **დაჩი დვალიშვილი** „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ქართულ პროდუქტს კონკურენციის გაწევა უცხოური ბრენდებისთვის გაუჭირდება, მაგრამ თუ მწარმოებლებმა ის ხარისხი დადეს, რაც ჩაფიქრებული აქვთ, კონკურენცია საკმაოდ მაღალი იქნება.

დაჩი დვალიშვილი აცხადებს, რომ ქართული ტელევიზორის ფასი იმ ხარისხის გათვალისწინებით, რაც ჩაფიქრებული აქვთ, საკმაოდ დაბალია.

„როგორც ვიცი, მარკეტინგში საკმაოდ სერიოზული თანხების ჩადებას აპირებენ. თან ფასიც შესაბამისად დაბალი იქნება იმპორტირებულთან შედარებით. ხარისხი როგორც თვითონ უნდათ, თუ ამას მიაღწიეს, ძალიან სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ, მათ შორის ისეთ ცნობილ ბრენდებს, როგორებიცაა „სამსუნგი“ ან „ელ-ჯი“.

მე მაგალითად 32 - ინჩიანი ტელევიზორი მიჯდება 190 დოლარი დუბაიში, ამას ემატება ტრანსპორტირება, დღგ. თუ ქართული ტელევიზორის ფასი 180 დოლარი ადგილზე იქნება, საკმაოდ სოლიდური კონკურენციის გაწევას შეძლებს“, – აცხადებს დაჩი დვალიშვილი და აღნიშნავს, რომ ტელევიზორს „ტექნოლუქსის“ ქსელებში აუცილებლად შეიტანს.

ბიზნესმენი და „ტექნობუმის“ დამფუძნებელი **ანზორ ქოქოლაძე** კი ამ საკითხისადმი შედარებით სკეპტიკურადაა განწყობილი. მისი თქმით, ტელევიზორების ამ ფასში ყიდვა დღესაც არის შესაძლებელი, ამიტომ ქართული წარმოება უცხოურს მხოლოდ ფასით ვერ გაუწევს კონკურენციას. მისი თქმით, რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება ქართული ტელევიზორი, ეს დამოკიდებულია სხვადასხვა დეტალზე, მაგალითად ხარისხზე, მარკეტინგულ კამპანიაზე და ა.შ.

„საქართველოში, ალბათ, ტელევიზორების აწყობა მოხდება. აქ რომ სრულად ამოქმედდეს წარმოება, ამის ბაზა არ არსებობს. ეს აწყობაც იმხელა განსხვავებას ვერ მოგვცემს, რომ კონკურენცია გაუწიოს. თუ ვინმე პატრიოტული სულისკვეთებით ჩადებს ინვესტიციას, ეს სხვა თემაა. თუ საუბარია იმაზე, რომ კომპანიამ ბაზრის 2% დაიკავოს, ეს არ იქნება რთული, მაგრამ თუ საუბარია 20%-ზე, მაშინ ძნელი იქნება კონკურენცია“, – აცხადებს ანზორ ქოქოლაძე.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული ტელევიზორის გამოშვების შესახებ ინფორმაცია პირველად „კომერსანტმა“ გაავრცელა. გასული წლის დეკემბერში მიხეილ ღლონტმა „კომერსანტს“ განუცხადა, რომ პირველ ეტაპზე პროდუქციის გამოშვებას ადგილობრივ ბაზარზე გეგმავენ, სამომავლოდ კი, ტელევიზორების გატანა ევროკავშირის ბაზარზეც იგეგმება.

ქართულ-აზერბაიჯანული კომპანია „AG Telekom“-ი რუსთავში 2013 წელს გაიხსნა. ქარხანა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად საჭირო set top box-ებს, ლედ ნათურებს, myvideo-ს TV Box-ებს და სხვა ტექნიკას აწარმოებს.

სალომე მეცხვარიშვილი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ინტერნეტ-მაღაზიაში ავსტრალიაში ზამთრის ქურთუკი შევუკვეთე!

– კი, მაგრამ, ავსტრალიაში ზამთარი რომ არ იცის?

– ჰოდა, ალბათ, ქურთუკებსაც იმიტომ ყიდიან!

* * *

– ყოველთვის საშინლად ვღელავ, როცა ვხედავ რომელიმე კარზე წარწერას „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია“. აბა, მე რა ვიცი – უცხო ვარ თუ არა? იქნებ სწორედ ამ კარს მიღმა ვიღაც მთელი ცხოვრება მოუთმენლად მელის?!

* * *

– საინტერესოა, ვინც ქრთამს არ იღებს, იმათაც კაბინეტში პრეზიდენტის სურათი უკიდიათ?

– შენ სულელი ხომ არა ხარ! საიდან შეიძლება ასეთ კაცს თავისი კაბინეტი ჰქონდეს?

– იცით, ბატონო, თქვენი ცოლის ნერვული დაავადება საშიში არ არის. ასეთი ნევროზით ხალხი დიდხანს ცოცხლობს.

– მე, ექიმო, ცოლის ამ ნევროზის პატრონი, მე რამდენ ხანს ვიცოცხლებ?

* * *

– დედა, ნუთუ არ გესმის, რომ ნატურალური ბეწვის შენი ახალი ქურქი საბრალო ცხოველის საშინელი ტანჯვის შედეგია?!

– რამდენჯერ უნდა აგიკრძალო მე შენ მამაშენზე აგდებული ლაპარაკი!..

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!